სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 ნოემბერი 2003 №213 (1984) ფასი 50 თეთრი

ნაციონალური სიტუაცია

ქართული არჩევანი: გურთის გაგორება თუ რისხვის აგორება?



საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
16 ტური

შენც ნადი!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი სჭირდება. ამას ყველა გრძნობს და მით უმეტეს ხვდებიან და ამბობენ ავსტრალიამოვლილი ბორჯღალოსნები

„კლოდ სორელი უნდა წავიდეს — ამბობს ბორჯღალოსანი დავით ბოლღაშვილი — მან ქართულ რაგბის გზა უჩვენა და მსოფლიო გაგვაცნო, მაგრამ ახლა უფრო კვალიფიციური მწვრთნელი გვჭირდება. ვუთხრათ მას დიდი მადლობა და გზა დავულოცოთ. ახლა სწორედ ის დროა, ერთმანეთს კეთილად დავშორდეთ."

სორელის წასვლის მიზეზებს კი ძებნა და თითიდან გამოწოვა არც სჭირდება, ბევრი რამ — მაგალითად, უმიზნო, გაუმართავი და უპერსპექტივო თამაში ტელევიზორშიც ჩანდა, ხოლო გუნდის შიდაარსობაზე თავად ბორჯღალოსნებიც ალაპარაკდნენ.

კვლავ ბოლღაშვილი: „ავსტრალიაში რაგბი არ გვითამაშია, ეს იყო რაგბისთან მიახლოებული რაღაც... ორი პასი ვერ გადავაბით... გარდა ამისა, მაინცდამაინც მსოფლიოს თასზე იჩინა თავი მენტალიტეტის თემამ. მოთამაშეთა უმრავლესობა აღარ ენდობოდ სორელს..."

კი ბატონო, უნდობლობა და უთანხმოება დრომ და მარცხებმა მოიტანა, მაგრამ დღევანდელობა ამ პრობლემების გადაჭრას ითხოვს. ნაკრებს და ქართულ რაგბის უამრავი პრობლემა აქვს და მხოლოდ სორელის წასვლით უცებ არ ავშენდებით, მაგრამ მწვრთნელის შეცვლის საჭიროებას ჩვენ ყველა ვგრძნობთ.

დავით ბოლღაშვილი

ანზორ ფალავანდიშვილის ფოტო

ბაიერნს შავკაბიანსა

გერმანულმა ტაბლოიდმა „ბილდმა" მიუნხენის „ბაიერნის" ამ მარილაც კარგ ფეხბურთელებს „შალკესთან" და ფრანგულ „ლიონთან" მარცხი არ ამატა და კაბებში გამოაწყო, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქეთინოები უწოდა.

ამის მხარეული ბაიერნელები, ცხადია, ცხრაპირ ტყავს გაიძრობენ ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩის მოსაგებად, მაგრამ ბედი არ გინდა! დღეს მათი მეტოქე მათთან ზამერის „დორტმუნდია". მოკლედ, გერმანიაში დიდი ჯახია.

აბა, ჯახი და ომი რომშიც ვიკითხოთ — აქეთ „ლაციო", იქით „რომა", უძველესი იტალიური დერბი სამარკო კონიაკივით დაძველებული შეღლით. მოშულართა ნახვა ინგლისშიც მრავლად შეგეძლებათ. თუმც „არსენალ" — „ტოტენჰემსა" და „ლივერპულ" — „მანჩესტერთან" ახლოს ვერც ერთი მივა.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის გურმანთ არც ეს უქმეები დატოვებს მშივრად. ჩვენ კი არჩევნების გამყალბებელი გერმანიის კანცლერი წარმოვიდგინოთ — ნეტავ რას ჩაცმევდა „ბილდი" შროიდერს?

ჯამარაული გრანდებს არ ეჭიდავება

გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგის“ თამაში ბოლო დროს გაუფერულდა. არცთუ სახარბიელო სტარტისა და ზედიზედ რამდენიმე ფრის შემდეგ მეტალურგები მალევე კი „გამოასწორდნენ“, ცხრილის შუაგულიდან მესამე ადგილზე წამოსკუპდნენ, მაგრამ უეფას თასზე „პარმასთან“ მარცხის მერე, ჩანს, ქართველების გუნდმა კონდიციები ვეღარ აღიდგინა. ორი ტურის წინ „მეტალურგმა“ შინ კიევის „დინამოსთან“ 0:3 დათმო, წინა მატჩში კი დემეტრაძის გოლის მიუხედავად „ილიჩევეცის“ დამარცხება ვერ შეძლო და სატურნირო ცხრილშიც შედეგის შესაბამისი ადგილი მიიღო: „მეტალურგი“ ახლა მეოთხეა და „დნიპროს“ სამი ქულით ჩამორჩება.

ამ უქმეებზე უკრაინაში დონეცკური დერბია: „მეტალურგი“ — „შახტარი“. თანაქალაქელების დამარცხებით მეტალურგები ცხრილში ვერა, მაგრამ ფსიქოლოგიურად კი გაყოჩაღდებიან



ბაჩო ჯიმშელაძის ფოტო

— ძალიან ძნელი და დაძაბული მატჩის მოლოდინში ვართ, ქალაქური დერბი ხომ ისედაც საინტერესოა, მით უმეტეს, ახლა, როცა ჩვენ რამდენიმე მატჩი ჩავაგდეთ და ქულები უაზროდ გავანიავეთ — გვითხრა **გოჩა ჯამარაულმა,** როცა დონეცკში დავუკავშირდით — „შახტართან“ მატჩისთვის უძლიერესი შემადგენლობით ვემზადებით, მეტოქეს კი, როგორც ვიცი, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაკლდება. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს.

— განსაკუთრებული რეჟიმით ემზადებით მატჩისთვის?

— განსაკუთრებულად და უჩვეულოდ არა, მაგრამ განწყობა ნამდვილად საომარი გვაქვს. ვნახოთ, რა გამოგვივა, უკრაინის პირობებზე „შახტარი“ ძალიან ძლიერი გუნდია და შემთხვევით არაა, ჩემპიონატს რომ ლიდერობს.

— შენ ითამაშებ? საზარდული გაწუხებდა...

— კი, ვითამაშებ. საზარდულის ტკივილი თურმე წელიდან გადაცემული ყოფილა. რამდენიმე დღე დავისვენე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ, თუმც მკურნალობა მაინც მჭირდება.

— თუ ავად ხარ, როგორღა ითამაშებ?

— ტკივილებმა ახლა გამიარა. პირველი წრის დამთავრების შემდეგ ჰოლანდიაში გავემგზავრები ნაცნობ ექიმთან და ტრავმას მივხედავ. იქამდე კი თამაშს შევძლებ.

— კიევის „დინამოსთან“ სათადარიგო რატომ იყავი?

— სწორედ ამ ტრავმის გამო მწვრთნელი მოერიდა ძირითადში ჩემს დაყენებას. ვიდრე ტკივილები მქონდა, 15-20 წუთი თუ შემეძლო მოედანზე ყოფნა.

— წლეულს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა გქონდათ დაგეგმილი, ჯერჯერობით კი მეოთხე ადგილზე ხართ. „დინამოსა“ და „შახტარზე“ რომ არაფერი ვთქვათ, „დნიპროსაც“ ჩამორჩებით, თანაც ეს გუნდი ძალიან მოღონიერებულა, უეფას თასზეც ყოჩაღობს.

— ეს მთლიანად მათი მწვრთნელის ევგენი კუჩერევსკის დამსახურებაა, თორემ შემადგენლობა ჩვენ უფრო ძლიერი გვყავს. რა ვქნათ, ახლა სამი ქულით ჩამოვრჩებით და ვეჭვობ, პირველ წრეში ეს სხვაობა შევამციროთ. თუმც „მეტალურგის“ ხელმძღვანელობა ზამთარში გაძლიერებას გეგმავს და ჩვენც უკეთ ავთამაშდებით. ლიგისთვისაც ვიბრძოლებთ, მაგრამ, ვფიქრობ, ორ უკრაინულ გრანდს ვერ მოვერევით.

— დემეტრაძე ჩვეულ ფორმაშია?

— კი, წინა ტურშიც გაიტანა და ახლა ცხრა გოლით ჩემპიონატის ბომბარდირია. მისნაირი მეგოლე უკრაინაში არ არის.

ძოგა ინასარიძე

ვალერი აბრამიძეს (№44) „ურალანის“ გაგონებაც არ უნდა

აბრამიძემ ურალანს ცუდი უმკითხავა

ელისტის „ურალანი“ რუსულ პრემიერლიგას დაემშვიდობა, ამ გუნდში კი ვალერი აბრამიძე და ვასილ გიგიაძე ირიცხებოდნენ. წარუმატებლობამ ჩვენებურებიც დააფიქრა და, ცხადია, ორივე „ურალანის“ დატოვებას აპირებს. უფრო ზუსტად, შეგვიძლია, ჩავთალოთ, რომ ელისტური კლუბისა და აბრამიძე-გიგიაძის გზები უკვე გაიყარა. და რა გზას ეწევიან ქართველები? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ ჯერ აბრამიძემაც ვერ გაგვცა, რომელსაც ელისტაში გუშინ შევეხმიანეთ

— „ურალანში“ იჯარის წესით სეზონის ბოლომდე უნდა გეთამაშა. ჩემპიონატი უკვე დასრულდა. რას აპირებ ახლა, „სპარტაკს“ უბრუნდები თუ...

— ჯერჯერობით სეზონი ხომ არ დამთავრებულა?! ახლა თასის მატჩები გვაქვს და შეთანხმებით ისევ „ურალანში“ ვარ.

— კი მაგრამ, თასის მატჩებშიც არ გამოჩენილხარ...

— ავადმყოფობის გამო გამოვტოვე. ახლაც გათავისუფლებული ვარ ვარჯიშებიდან.

— რატომ?

— ერთი კვირა მაღალი სიცხე მქონდა.

— ახლა ჯანმრთელად ხარ?

— კი. თავს კარგად ვგრძნობ. ამ დღეებში ვარჯიშსაც განვაახლებ.

— სამომავლო გეგმების რაღაც მონახაზი უკვე გექნება...

— სეზონი დამთავრდება და „ურალანს“ მაშინვე დავტოვებ. მენეჯერი მყავს და ჩემს ახალ კლუბზე იზრუნებს. ვნახოთ, რა გამოვა. კონკრეტულად ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია.

— „სპარტაკში“ დაბრუნება რეალურია?

— არ ვიცი, „სპარტაკის“ ხელმძღვანელობასთან ჯერ არ მისაუბრია.

— ესე იგი, „ურალანში“ დარჩენა გამორიცხულია...

— რა თქმა უნდა, ამაზე არც მიფიქრია. მით უმეტეს, გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა, თუმც ასეც რომ არ მომხდარიყო, „ურალანში“ მაინც არ დავრჩებოდი.

— ვასილ გიგიაძეც აპირებს კლუბის დატოვებას...

— ჰო, ვასოს ისეთი კონტრაქტი აქვს, რომ ხელს ვერავინ შეუშლის. პირდაპირ ჰქონდა ნათქვამი, რომ თუ გუნდი პრემიერლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებდა, თავისუფალი აგენტი ხდებოდა.

— ხომ არ იცი, სად აპირებს კარიერის გაგრძელებას?

— არა. ამის შესახებ არაფერი გამიგია. ის კი ნაღდად ვიცი, რომ „ურალანში“ არ იქნება.

— კლუბის გავარდნა მაინც მოულოდნელი იყო. თითქოს „ურალანს“ ასეთი საფრთხე არ ემუქრებოდა...

— ვერ დაგეთანხმები. პირიქით, ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო.

— რატომ?

— მარტო შემადგენლობას რომ გადავხედოთ, ყველაფერი ცხადი იქნება. პრემიერლიგაში ასეთი ფეხბურთელებით რისი მიღწევაც შეიძლება, გამოჩნდა.

— ნუთუ ასე სუსტად იყო გუნდი დაკომპლექტებული?

— ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. და კიდევ, ამას ხელმძღვანელობის უმოქმედობაც დაუმატეთ. წარმოიდგინეთ, პრემიერლიგაში ადგილი მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგმა“ შეინარჩუნა. მეტს აღარ დავამატებ...

— საქართველოს ნაკრებზე რომ გული გქონდა აცრუებული, ვიცით. მალე ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი ეყოლება. დიდი შანსია, ეს კაცი ფრანგი ანრი მიშელი იყოს...

— გამიგია ეგ მწვრთნელი. კარგი სპეციალისტია. როგორც ვიცი, ადრე საფრანგეთის ნაკრებშიც უმუშავია. ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ მიშელი სერიოზული კანდიდატურაა.

— შენი აზრით, ხეირიანი უცხოელი მწვრთნელი ნაკრებს უშველის?

— ამის დიდი იმედი მაქვს. ვფიქრობ, ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელი ახლა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამაში მე საქართველოს ნაკრების მომავალს ვხედავ. გულშემატკივარსაც და ფეხბურთელებსაც უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა ძალიან გაგვიხარდება.

ძახა შალამბერიძე

ინსპექტორთა ინსპექცია

პროფლიგა დისციპლინარებსაც მიადგება

მსაჯის გინება და ცემა ვერა და ვერ წაიშალა ეროვნული ჩემპიონატიდან — საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა ახლა თავისებურად ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას.

გუშინ და გუშინწინ პროფლიგის ხელმძღვანელებმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორები და დირექტორები დაიბარეს. საუბარი ძირითადად მსაჯობას შეეხო. არის ფაქტები, როცა ნაირგვარი ექსცესები და მსაჯთა შეცდომები არ არის ასახული ინსპექტორთა პატაკებში. ჰოდა, ინსპექტორები გააფრთხილეს, თუ კვლავაც მიიჩქმალება ამგვარი ფაქტები, ეს მათთვის დაუსჯელად არ ჩაივლის.

მსაჯები დაუცველნი არიან ჭაბუკთა და ასაკობრივ ტურნირთა მატჩებზეც. ინსპექტორებსა და დირექტორებში კი ბევრი სახელიანი ვეტერანი ფეხბურთელია და პროფლიგას სურს, რომ ისინი იუნიორთა მატჩებზეც გაამწესოს — იქნებ პატივცემულ ხალხს მაინც სცენ პატივი. ვეტერანებს ეს აზრი მოეწონათ და ალბათ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას წინ არაფერი უდგას.

პროფლიგამ ერთიც მოიფიქრა — ზამთრის საშუალოზონო შესვენებისას ვეტერანები ჭაბუკთა გუნდებში მიავლინოს, რათა თინეიჯერ ფეხბურთელებს აღმზრდელობითი მუშაობა ჩაუტარონ.

და კიდევ, პროფლიგის უფროსობა მალე სადისციპლინო კომიტეტსაც დაელაპარაკება, რომელიც მსაჯის გამლახავ და ბილწმოსიტყვე ხალხს ფაქტობრივად არ სჯის.

დავით თავართქილაძე

ირლანდია

პრემიერლიგა. XXXII ტური

ბოჰემიანსი 1:1 უოტერფორდი
კორკ სიტი 2:2 შემროკი
სლენტ პატრიკსი 0:1 შელბურნი
დუბლინი 2:0 დერი სიტი

პორტუგალია

სუპერლიგა. XI ტური

ბილ ვისენტე 0:0 ბელენენსეში

პოლონეთი

I ლიგა. XII ტური

ვიძევი 0:1 ლეგია

ავსტრია

დივიზიონი. XIX ტური

უნტერზიბენბრუნი 4:4 კაპფენბერგი
ლეობენი 3:3 ლინცერი
რიდი 3:0 ლუსტენაუ

ჰოლანდია

I დივიზიონი. XI ტური

ვიტესი 2:2 ტილბურგი

II დივიზიონი. XIV ტური

დენ ბოსხი 2:3 ჰერაკლესი
ვეენდამი 1:0 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 1:3 ვენლო
მაასტრიხტი 1:1 დორდრეხტი
ჰაარლემი 1:0 ოსი
იგლსი 0:1 ემენი
სიტარდი 1:4 აპელდორნი
ბრაბანტი 2:1 ეძელსიორი

თურქეთი

სუპერლიგა. XII ტური

ტრაბზონი 2:0 ბურსა

ბელგია

იუპილერლიგა. XII ტური

გენტი 1:1 გენკი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

ობერჰაუზენი 2:1 რეგენსბურგი
მაინცი 1:3 ფიურტი
ოსნაბრიუკი 3:0 ტრიერი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XV ტური

ზანქტ პაული 1:1 ნოიმიუნსტერი
ვატენშაიდი 1:0 იურდინგენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XV ტური

პფულენდორფი 2:0 ზიგენი
ვეჰენი 1:1 ზაარბრიუკენი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

სენტ ეტიენი 0:0 ისტრი

ინგლისი

ასოციაციის თასი. I ეტაპი

ტიუროკი 1:1 ლუტონი

საქართველოს უმაღლესი პირველი 15 ჩემპიონატი დასავლეთი ეტაპი

16 ტური

აპოლიტიკურ გულშემატკივრებს ამ უქმეებზე ტურის სამი გამორჩეული მატჩი ელით. ლიხს იქით ბრაზილიელ ჟოაო კამპუშისგან პირველი მსუყე მატჩის მოგებას მოითხოვენ „ტორპედოს“ ქომაგები; აქეთ ჯიგორი და დედაქალაქია – „დილა“ ახალგაზრდულ „თბილისს“ დაეძგერება, ჩემპიონი „დინამო“ ხელმეორედ გაცაკარიასებულ რეინიგზაზე აპირებს გავლას, თუმც ვინძლო სამივე სტუმარმა თავდაყირა დააყენოს ყველაფერი. ტრადიციულად, მატჩამდელი დიალოგები...

თბილისი. 8 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

სპარტაკი — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკაროღლი (ქარელი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** ვ. ბაქრაძე

ბათუმი. 8 ნოემბერი. 15 საათი. დინამო

ბათუმი — მერცხალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** გ. სორდია

მცხეთა. 8 ნოემბერი. 15 საათი. არმაზი

მცხეთა — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** რ. ლორთქიფანიძე

დინამო	15	9	4	2	32:6	31
სიონი	15	8	6	1	18:8	30
ვიტ ჯორჯია	14	8	5	1	24:7	29
დილა	15	8	3	4	18:11	27
თბილისი	15	6	4	5	27:18	22
ლოკომოტივი	15	6	4	5	22:18	22
ტორპედო	15	5	4	6	13:16	19
მცხეთა	15	5	2	8	18:33	17
ბათუმი	14	5	1	8	17:17	16
კოლხეთი	15	3	3	9	9:21	12
მერცხალი	15	2	4	9	14:29	10
სპარტაკი	15	2	4	9	8:36	10

ა. ფეხბურთი და ა პოლიტიკა



გელა კიკალეიშვილი, „ტორპედოს“ მწვრთნელი:

— „ვიტ ჯორჯია“ ძალიან სერიოზული გუნდია და ურთულესი მატჩი გველის. ეფიქრობ, „ვიტ ჯორჯია“ დღეს საქართველოში საუკეთესოა, ამიტომ მის წინააღმდეგ ორმაგად გაგვიჭირდება. მით უმეტეს, ჩვენთვის ქულების დაკარგვა შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

— თან „ვიტ ჯორჯიას“ ქუთაისში თამაში არ უჭირს...

ქუთაისი. 8 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო

ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

— ყველაზე მეტად სწორედ ამისი მეშინია. ვნახოთ, ჩვენ მოსაგებად ვიომებთ. მეტოქეს არაფერს დავუთმობთ.

— წინა ტურში ფოთის „კოლხეთთან“ მატჩში ჟოაო კამპუშმა რამდენიმე დებიუტანტი ათამაშა. ახალ სახეებს ახლაც ვნახავთ?

— არა მგონია, ასე მოხდეს. იმასაც გააჩნია, მატჩი რა ხასიათს მიიღებს, შესაძლოა, თავის გამოჩენის შანსი ამ ბიჭებს ისევ მიეცეთ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ ძირითადში, ალბათ, მაინც საუკეთესო შემადგენლობით ვითამაშებთ.

— ვის მოისაკლისებთ?

— ყველაზე მეტად რომან ახალკაცის არყოფნა გვაფიქრებს. ტრავმირებულია გიორგი ყიფიანი. დანარჩენები კი ჯანზე არიან.



ზურაბ ბერიძე, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან მძიმე თამაში იქნება. „ტორპედო“ კარგი გუნდია, ექვსეულში მოსახვედრად იბრძვის და ჩვენთანაც მონდომებით ითამაშებს. ვეცდებით, გულშემატკივარს კარგი, ლამაზი თამაში ვაჩვენოთ.

— კარგი თამაში თუ კარგი შედეგი?

— კარგ თამაშში თავისთავად კარგ შედეგსაც ვგულისხმობთ. თუ ხარისხიანად ვითამაშებთ, წარმატებასთან უფრო ახლოს ვიქნებით.

— „ვიტ ჯორჯია“ „ტორპედოსთვის“ უხერხული მეტოქეა...

— ეს წარსულია. ჯობია, დღევანდელზე ვილაპარაკოთ. ვფიქრობ, ადრე რაც ხდებოდა, ახლა ნაკლებად მნიშვნელოვანია. მოიგებს ის, ვინც უფრო მზად იქნება მატჩისთვის.

— შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ალბათ, თანაბრად. ორივე გუნდს მაგრად გაუჭირდება.

— ტრავმირებული ხომ არავინ გყავთ?

— საბედნიეროდ, არა. ყველა კარგადაა. დისკვალიფიცირებულებიც არ გვყავს.

„დილაში“ კარგ ხასიათზე არიან. ამის მიზეზი საპარლამენტო არჩევნებია: კლუბის პრეზიდენტი გელა ჩხეიძე 35-ე იყო „აღორძინების“ სიაში და ყველა მომავალ პარლამენტარობას ულოცავს.

გორი. 8 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — თბილისი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჩინებულ განწყობაზეა „დილას“ თავკაცი *ზურაბ ხორგუაშვილიც.* სადღეისოდ მას ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს. ხორგუაშვილს გუშინ გორში დავუკავშირდით.

— ქალაქში საფეხბურთო ბუმია. „დილას“ განსაკუთრებით ახლა სჭირდება ქომაგის თანადგომა და გულშემატკივარიც მხარში გვიდგას. ხუთი ათასზე მეტი მაყურებელი მოვა „თბილისთან“ მატჩზე და ჩვენს გამარჯვებაში დიდ წვლილს შეიტანს.

— დარწმუნებული ხართ, რომ გაიმარჯვებთ?

— მაგას რა ლაპარაკი უნდა?! აუცილებლად მოვიგებთ. რაც შეგვიძლია, ის რატომ ვერ უნდა გავაკეთოთ.

გიორგი დევდარიანი, „თბილისის“ მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან ძნელი მატჩი გველის. აქამდე ჩატარებულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რაკიდა საექვსეულო პოზიციების გამყარება ჯვსურს. „დილა“ სოლიდური მეტოქეა, სტაბილური და განსაკუთრებით ძლიერი საშინაო მატჩისას. ჩვენ ორდღიან შეკრებაზე გადავედით [illegible] მრო „აჭარაში“ და ინტენსიურადაც ვემზადებით. ჩვენს ამოცანას დისკვალიფიცირებული მესხის არყოფნა, ხოჯავას, მიქაშვილის და გამორჩევით დავითაშვილის ტრავმები ართულებს.

— რა სჭირს დავითაშვილს?

— წვივი სტკივა და მისი ბედი მატჩის დღეს გადაწყდება.

— „თბილისში“ ქართული საზომით ჩინებული პირობები აქვთ ფეხბურთელებს შესაძლებლობების წარმოსაჩენად. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ფეხბურთელს გუნდის დატოვება სურს. რა არის ამის მიზეზი?

— მიზეზი ერთია, წასვლა სურთ იმათ, ვინც 18-კაციან განაცხადში ვერ ხვდება. ეს მათი პრობლემაა. მე პიროვნული მოსაზრებით არავის ვსვამ სკამზე, საუკეთესოებს ვაძლევ თავის გამოჩენის საშუალებას.



ივო შუშაკი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

— მოხარული ვარ, რომ მასმედიამ ამ თამაშისთვის დიდი ინტერესი გამოიჩინა. ეს დერბია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვფიქრობ, რომელი გუნდიც გაიტანს პირველ გოლს, თამაშიც მისი კარნახით წავა. ჩვენ სამი ქულის მოპოვება გვაინტერესებს.

— მეტოქეზე რას იტყვით?

თბილისი. 9 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული

დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** დ. გოგია

— „ლოკომოტივს“ ახალი და ამავე დროს ძველი მწვრთნელი ჰყავს. ეს გუნდი უწინდელზე სტაბილურად თამაშობს — ბოლო ორ შეხვედრაში ოთხი ქულა აიღო.

— თქვენს გუნდში რამე სიახლე იქნება?

— ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი პირველად ითამაშებს სასტარტოში. გიორგი ანჩაბაძე და კარლოსი დისკვალიფიცირებულნი არიან, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ისინი ტრავმების გამო მაინც ვერ ითამაშებდნენ.

— ამ მატჩში რაიმე ექცესებს გამორიცხავთ?

— დერბია და ნერვიული თამაშია მოსალოდნელი. მაგრამ, ჩვენ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ. „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს შორის სერიოზული კონფლიქტი ადრეც არ მომხდარა.

დავით სირაძე, „ლოკომოტივის“ კაპიტანი:

— ძალიან მონდომებულები ვართ. ყველა ელის რომ კარგი, სანახაობრივი მატჩი იქნება.

— შანსებს როგორ აფასებ?

— ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა.

— „ლოკომოტივი“ ბოლო დროს მეორე სართულზე კარგი თამაშით გამოირჩევა და გოლებიც უმეტესწილად ასე გააქვს — ეს თქვენი კოზირი იქნება „დინამოსთან“?

— ალბათ ასეც იქნება, მაგრამ „დინამოსაც“ საკმაოდ გააქვს გოლები სტანდარტული სიტუაციებიდან. ისე, ჩვენთან სტანდარტულებს და თავით თამაშს ადრეც დიდი ყურადღება ექცეოდა და ლუის ცაკარისიც ასევე მოქმედებს.

— პირველ წრეში 0:1 წააგეთ „დინამოსთან“ — მას შემდეგ რა შეიცვალა „დინამოსა“ და „ლოკომოტივში“?



— „დინამო“ ისეთივეა, როგორიც იყო, ჩვენ კი ახლა უფრო შეთამაშებულები და აქედან გამომდინარე, უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე მაშინ, როცა, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ვიყავით. ვფიქრობ, ამ მატჩში ქულის მოპოვება სავსებით რეალურია.

— „ლოკომოტივში“ პრობლემა ხომ არაა?

— ჩვენს მეკარე სოსო გრიშიკაშვილს ფეხი სტკივა და დღეს არ უვარჯიშია, მისი თამაში კვირას სათუოა. რაც შეეხება რევაზ ქემოკლიძეს, მას სიცხე ჰქონდა და დღეს მხოლოდ იძუნძულა, ასე რომ მისი თამაშიც საეჭვოა.

იტალია

პაპუნა ჯედია

ტოტომ თუ გაიწია, „ლაციოს“ ძალიან გაუჭირდება

განსაცდელი 2

ჩელსი სტიმულია, სტამი შვება

IX ტური		
დღეს		
სამპდორია	—	ემპოლი
ბრეშა	—	ბოლონია
ხვალ		
ინტერი	—	ანკონა
იუვენტუსი	—	უდინეზე
პარმა	—	მილანი
პერუჯა	—	ლეჩე
რეჯინა	—	მოდენა
რომა	—	ლაციო
სიენა	—	კიევო

საჯლეისო ვითარება

მილანი	8	6	2	0	16:4	20
იუვენტუსი	8	6	2	0	19:8	20
რომა	8	5	3	0	16:3	18
პარმა	8	5	2	1	16:9	17
ლაციო	8	5	1	2	15:10	16
ინტერი	8	3	4	1	8:5	13
მოდენა	8	4	1	3	9:7	13
უდინეზე	8	3	2	3	11:9	11
კიევო	8	3	2	3	10:9	11
სიენა	8	2	4	2	10:7	10
სამპდორია	8	2	3	3	7:10	9
რეჯინა	8	1	5	2	9:12	8
ბრეშა	8	1	3	4	14:20	6
ლეჩე	8	2	0	6	9:19	6
ბოლონია	8	1	2	5	9:13	5
პერუჯა	8	0	5	3	9:16	5
ანკონა	8	0	3	5	4:15	3
ემპოლი	8	0	2	6	5:20	2

ბიხაროდენ. ხვალ რომაული დერბია. „ლაციო“, რომელსაც შუა კვირაში საჩემპიონთალიგო მატჩში ამავ „ოლიმპიკოზე“ თავი მოეჭრა „ჩელსისთან“, მორიგი განსაცდელის წინაშე დგას — „ლაციოს“ „რომასთან“ ბოლო ხუთ შეხვედრაში არ უმარჯვია. ამ ხუთ მატჩში კი გამოსარჩევია ორი წლის წინანდელი 1:3.

მაგრამ განსაცდელი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, „ლაციოსთვის“ ეგებ შედარებით იოლი გადასატანი გამოდგეს, რაკი რობერტო მანჩინის განკარგულებაში ბრუნდება ახმახი ჰოლანდიელი იაპ სტამი. ოდინდელი მანჩესტერელი ტრავმის გამო „ჩელსისთან“ ბრძოლას აკლდა და უიმისოდ სინიშა მიხაილოვიჩი და ფერნანდო კოუტუ ფრთამოჭრილებს ჰგავდნენ. „რომასთან“ მატჩის წინ სტამმა თქვა, უსწრაფესად გვმართებს შუა კვირაში მოგვრილი შოკის დავიწყება და საამისოდ რომაულ დერბიზე უკეთეს ალაგს სად ვიპოვითო: „ჩელსისთან“ გაშვებული ოთხი გოლი სტიმულს გვმატებს, ჩვენი საუკეთესო თამაში უნდა ვაჩვენოთ“.

მაგრამ ვაი, რომ „ლაციოს“ არ ეყოლება არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ლოპესი, რაც ნიშნავს, რომ შეტევაში ბერნარდო კორადის სიმონე ინძაგი გაუწევს პარტნიორობას. ხოლო „რომას“, რომელიც ლიდერებს ორი ქულით ჩამორჩება, რუმინელი კრისტიან კივუ გამოაკლდა, ვინაც უეფას თასზე „ჰაიდუკთან“ მატჩში მხარი ეტკინა.

თანალიდერი „მილანი“ პარმაში ჩადის. გუნდს ვერ მიჰყვებიან პაოლო მალდინი, ფილიპო ინძაგი და ბრაზილიელი სერჟინიო. სამივენი დაშავებულები არიან, ისევე, როგორც ჩვენი კახა კალაძე. „პარმას“ კი, რომელიც მეოთხე ადგილზეა, არ ჰყავს მთავარმეგოლე ადრიანო. ამ ბიჭის ამბავი ადრეც მოგახსენეთ: ის ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან. თუმც ისიცაა, რომ მისი შემცვლელი, ყმაწვილი ალბერტო ჯილარდინო ბრწყინვალედ თამაშობს და გოლი გოლზე გაქვს.

„იუვენტუსი“ კი ცალკე „უდინეზეს“ ძლევას ეცდება, ცალკე კი „მილანის“ წაბორძიკებაზე ოცნებობს.

კარგი ამბავი ტურინელთა ქომაგებისთვის: შვიდკვირიანი მკურნალობის მერე „ბებერ ქალბატონს“ ალესანდრო დელ პიერო დაუბრუნდა. ეს ნიშნავს, რომ მარკო დი ვაიოს, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს გადაჯდომა. აბა, დელ პიეროს უქმად ვინ გააჩერებს.

ისიც მოგეხსენებათ, რომ მარჩელო ლიპიმ ჩემპიონთა ლიგაში „რეალ სოსიედადთან“ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა, ანუ „უდინეზეს“ წინააღმდეგ „იუვენტუსი“ სრული ძალით და შემადგენლობით ითამაშებს.

ინგლისი

ეროვნული ფეხბურთის ჩემპიონატი

ალეკო ჯიბუტი

დიდი, ძალიან დიდი და უდიდესი

XII ტური		
დღეს		
არსენალი	—	ტოტენჰემი
ასტონ ვილა	—	მიდლსბრო
ბოლტონი	—	საუთჰემპტონი
ჩარლტონი	—	ფულემი
პორტსმუთი	—	ლიდსი
ვულვზი	—	ბირმინგემი
ხვალ		
ლივერპული	—	მანჩესტერი
სიტი	—	ლესტერი
ჩელსი	—	ნიუკასლი
ზეგ		
ბლეკბერნი	—	ევერტონი

საჯლეისო ვითარება

არსენალი	11	8	3	0	23:9	27
ჩელსი	11	8	2	1	21:9	26
მანჩესტერი	11	8	1	2	21:6	25
ბირმინგემი	11	5	4	2	10:7	19
სიტი	11	5	3	3	22:12	18
ფულემი	11	5	3	3	21:15	18
ჩარლტონი	11	5	3	3	16:14	18
ლივერპული	11	5	2	4	17:12	17
ნიუკასლი	11	4	4	3	16:13	16
საუთჰემპტონი	11	4	4	3	10:7	16
პორტსმუთი	11	3	3	5	11:15	12
ტოტენჰემი	11	3	3	5	10:14	12
ასტონ ვილა	11	2	5	4	9:13	11
მიდლსბრო	11	3	2	6	9:15	11
ბოლტონი	11	2	5	4	9:19	11
ევერტონი	11	2	4	5	12:15	10
ვულვზი	11	2	3	6	7:23	9
ლესტერი	11	2	2	7	16:21	8
ბლეკბერნი	11	2	2	7	15:21	8
ლიდსი	11	2	2	7	10:25	8

შარშან „ენფილდზე“ „მანჩესტერმა“ „ლივერპული“ დიეგო ფორლანის დუბლით დაამარცხა

დღეს ლონდონში დიდი დერბია. ინგლისს დედაქალაქს პრემიერლიგაში ხუთი გუნდი ჰყავს, მაგრამ დერბად მხოლოდ „არსენალისა“ და „ტოტენჰემის“ ბრძოლას მოიხსენიებენ. ძველი ამბავია და ახლა ამ გუნდების დაპირისპირების ისტორიაზე ნუ შევჩერდებით, მხოლოდ სადღეისო ვითარებას გაგაცნობთ.

ათი წელი გასულა მას მერე, რაც „სპურსმა“ „ჰაიბერიზე“ ბოლოს გაიმარჯვა. ეს ფაქტი თავისთავად სტუმართათვის სასიამოვნო ვერ არის. ამას დავუმატოთ მეორე ფაქტი: წინა უქმეებზე „ტოტენჰემი“ შინ „ბოლტონთან“ დამარცხდა, რაც გვარიანი შოკისმომგვრელი ამბავი იყო. გარდა ამისა, სტუმრებს ტრავმირებულები, საიმონ დევისი და ფრედერიკ კანო დააკლდებათ. თუმცა თუ მოვინდომებთ, მათთვის საამურ ამბებსაც გამოვჩხრეკთ. კერძოდ, „არსენალს“ პატრიკ ვიეირა არ ჰყავს, მარტინ კიოუნის თამაში კი ერთობ საეჭვოა. ამასთანავე, „მეთოფეებმა“ ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოს“ დამარცხებას იმდენი ენერგია შეალიეს, ეგებ, ენერგიის აღდგენა ვერც მოესწროთ.

თუ დღეს ეს ერთი გამორჩეული თამაშია, ხვალ ასეთი ორია. ლონდონშივე „ჩელსი“ „ნიუკასლ იუნაიტედს“ მასპინძლობს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლივერპულს სტუმრობს.

ამ მატჩების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით კი მეორეზე, სიტყვის გაგრძელება ზედმეტი უნდა იყოს და ამჯერადაც პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

ფიქრობენ, რომ „ლივერპულს“ ჩემპიონის წინააღმდეგ შეხვედრაში მაიკლ ოუენი დაუბრუნდება. ოუენს მუხლი მოუშუშებია, მაგრამ რაიმე გართულების თავიდან ასაცილებლად ჟერარ ულიემ ის უეფას თასზე „სტიაუასთან“ არ ათამაშა.

ისე, ოუენის დაბრუნებამ საეჭვოა, მანჩესტერელები შეაშინოს. ერთი, რომ შუა კვირაში „რეინჯერსის“ ძლევით თავისი ძალა ერთხელაც დაამტკიცეს, თან კლებერსონმაც ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა. დავძინოთ, რომ მანჩესტერელთა ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი ზედიზედ ოთხი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს.

და თუ ვინმე მართლა გადასარევ ხასიათზეა, ეს „ჩელსი“ გახლავთ, რომელმაც რომში „ლაციოს“ ოთხი გოლი გაუტანა. სავარაუდოდ, კლაუდიო რანიერი ერნან კრესპოს დაასვენებს და მოედანზე მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეუშვებს. იგივეს ამბობენ რუმინელ ადრიან მუტუზეც. ლონდონელთა შეტევას კი ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი გაუძღვება.

შუა კვირაში ევროთასზე ითამაშა „ნიუკასლმაც“, ოღონდ უფრო გვიან და შესაბამისად, დასვენებისთვის ნაკლები დრო დარჩა. „კაჭკაჭებს“, რომლებმაც პრემიერლიგაში ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს, კრეიგ ბელამი, კირონ დაიერი და ჯონათან ვუდგეიტი დააკლდებათ.

ჩამოთვლილი სამი მატჩის ფონზე დანარჩენი შეხვედრები ნაკლებად მიმზიდველია, თუმცა მათგან „ჩარლტონისა“ და „ფულემის“ დაპირისპირების გამორჩევა შეიძლება. ეს მატჩი მცირე ლონდონურ დერბადაც შეგვიძლია მოვნათლოთ. თანაც ორივე გუნდი ცხრილში გვარიანად მაღლაა.

ჩარლტონელი სკოტ პარკერი ამ მატჩშიც ითამაშებს, რის მერეც ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის, ფულემელები კი ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ფრანგების, ლუი საჰას და სტივ მაღბრანკის იმედზე არიან.

გერმანია

დავით თავართქილაძე

გუშინდელი „ბილდის“ თავფურცელს ეს ფოტო ამშვენებდა

ჩაცმევს ბილდი ბაიერნს ბიკინებს?

მთავარი მატჩი კვირასაა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“. ოტმარ ჰიცფელდსა და მათიას ზამერს ჩემპიონთა ლიგა ერთად მოუგიათ 1997 წელს, მაგრამ ახლა ორივე მწვრთნელია და მოსწავლე-მასწავლებელი აღარავის ახსოვს. მაგრამ „ბაიერნს“ კარგად უნდა ახსოვდეს გაზეთ „ბილდის“ გუშინდელი ნომრის პირველი გვერდი — ამ უმსხვილესმა ტაბლოიდმა ბაიერნელებს ქვედაკაბები ჩააცვა, ზურგზე ქალის ხელჩანთები გადაჰკიდა და მსხვილი შრიფტით ეს სიტყვები უძღვნა: „რატომ არ იბრძვით კაცებივით?“ პირველ გვერდს ვინც გადაფურცლავდა, სატირულად ამოიკითხავდა იმასაც, თუ როგორი გაჭირვებით მოუგო „ბაიერნმა“ თასზე „ნიურნბერგს“, მერე გასვლაზე წაგო „შალკესთან“ და ბოლოს შინ ჩემპიონთა ლიგაზე ფრანგულ „ლიონთან“.

ამასობაში ჰიცფელდმა რეჟიმი გაამკაცრა გუნდში, ფეხბურთელებს ყველა გუნდისმიღმა შეხვედრის გადაღება მოსთხოვა და ჟურნალისტებს განუცხადა: „ასეთ ვითარებაში ფეხბურთელებს ერთმანეთთან ახლოს ყოფნა სჭირდებათ, რათა სრულ კონცენტრაციას მიაღწიონ და ამიტომაც გადავდივართ ორდღენახევრიან ყაზარმულზე“.

უპრობლემო არც „დორტმუნდია“, რომლის ლაზარეთისგან ერთი გუნდი ნამდვილად აეწყობოდა. ფრანგებთან ზამერელებსაც გაუჭირდათ — უეფას თასის მატჩში გუშინწინ „სოშოსთან“ 0:2 აგებდნენ და ძლივს გაათანაბრეს.

ჯერაც ჩაუპირქვავებელი „შტუტგარტი“ ფრანკფურტში ბრაზილიელ მცველ მარსელო ბორდონის გარეშე ჩავიდა, ვისაც ამ დღეებში საზარდულის ოპერაცია გაუკეთდა, თუმცა ამით აინტრახტელების ხვედრი ალბათ არ შემსუბუქდება.

ბრემენის „ვერდერის“ მთავარმეგოლე აილტონის თამაში ჰანოვერში საეჭვოა ტრავმის გამო. მასპინძლებს კი ნაღდად არ ეყოლებათ წამყვანი ფორვარდი ტომას კრისტიანსენი, ვინც დისკვალიფიცირებულია. ჰანოვერელები რამდენიმე ტრავმიან მოთამაშესაც მოისაკლისებენ.

იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგს“ შინ „ვოლფსბურგისთვის“ არასდროს მოუკია და დღეს ნავსის გატეხვას შეეცდება. ფრაიბურგელებს შუახაზელი ანდრეას ცაიერი არ ეყოლებათ — ის წინა ტურში გააძევეს.

ბერლინის „ჰერტას“ ჰოლანდიელი მცველი და კაპიტანი დიკ ვან ბურკი დაუბრუნდება, ვისაც ტვინის შერყევის გამო გაუცდა რამდენიმე მატჩი. „გლადბახს“ ჰერტელთა დარად ოდენ ერთი მოგება აქვს და კვიმატი მატჩი უნდა გამოვიდეს.

გელზენკირხენელებს წინა ტურში „ბაიერნის“ და მერე უეფას თასზე „ბრონდბიუს“ ძლევით იქედი მიეცათ — კრიზისი დაძლეულია და იუპ ჰაინკესმა როგორც იქნა, თავის ყალიბში ჩაასხა გუნდიო. „შალკეში“ ეს ბოლო ორი თამაშია, 19 წლის ფორვარდი მაიკ ჰანკე ბრწყინავს. ხვალ „ხუმარებს“ ზორბა მატჩი ელით ლეკერკუზენში — ფარმაკოლოგებს ორი ძალიან ფასეული მცველი მოაკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო — დიეგო პლასენტე და კარსტენ რამელო.

დანარჩენ მატჩებზე დავძენთ, რომ „ჰანზას“ შინ „ლაუტერნთან“ 1991 წლის მერე არ წაუგია, „ჰამბურგში“ ფორვარდ ბერნარდო რომეოს თამაშია სათუო, ხოლო „კიოლნში“ მცველ მუსტაფა დოგანის.

XII ტური

დღეს

პანოვერი	—	ვერდერი
აინტრახტი	—	შტუტგარტი
ფრაიბურგი	—	ვოლფსბურგი
ჰერტა	—	გლადბახი
ჰანზა	—	ლაუტერნი
ჰამბურგი	—	მიუნხენი
ბოხუმი	—	კიოლნი

ხვალ

ბაიერნი	—	დორტმუნდი
ლევერკუზენი	—	შალკე

საფეხბურთო ვითარება

შტუტგარტი	11	8	3	0	17:2	27
ლევერკუზენი	11	8	2	1	23:7	26
ვერდერი	11	8	1	2	29:15	25
დორტმუნდი	11	7	1	3	22:13	22
ბაიერნი	11	6	3	2	25:15	21
ბოხუმი	11	5	3	3	20:13	18
ვოლფსბურგი	11	6	0	5	23:20	18
მიუნხენი	11	5	2	4	12:13	17
ჰანოვერი	11	4	3	4	20:23	15
შალკე	11	3	5	3	14:16	14
ფრაიბურგი	11	3	3	5	15:20	12
ლაუტერნი	11	4	2	5	13:16	11
ჰამბურგი	11	2	3	6	11:24	9
აინტრახტი	11	2	2	7	9:17	8
ჰერტა	11	1	5	5	8:20	8
კიოლნი	11	2	1	8	9:18	7
გლადბახი	11	1	4	6	7:16	7
ჰანზა	11	1	3	7	12:21	6

„კიზერსლაუტერნს“ დალეგული აქვს 3 ქულა

ესპანეთი

ლადო ხომერიკი

უხვგოლიანი და უნუგეშო ბარსელონელები

XI ტური

დღეს

დეპორტივო	—	სოსიედადი
სარაგოსა	—	სელტა
ბილბაო	—	ესპანიოლი

ხვალ

ალბასეტე	—	მალაგა
ატლეტიკო	—	ვილიარეალი
ბარსელონა	—	ბეტისი
სევილია	—	რეალი
ვალენსია	—	რასინგი
მალიორკა	—	ჟირონა
ოსასუნა	—	ვალიადოლიდი

საფეხბურთო ვითარება

ვალენსია	10	7	2	1	21:5	23
რეალი	10	7	2	1	23:9	23
დეპორტივო	10	7	1	2	19:8	22
ოსასუნა	10	5	2	3	12:8	17
ბარსელონა	10	4	4	2	14:10	16
ატლეტიკო	10	5	1	4	13:13	16
რასინგი	10	4	2	4	13:11	14
ბილბაო	10	4	2	4	12:12	14
ვილიარეალი	10	3	5	2	11:11	14
ვალიადოლიდი	10	4	2	4	14:18	14
ბეტისი	10	3	4	3	13:13	13
მალაგა	10	4	1	5	12:14	13
სოსიედადი	10	3	4	3	12:14	13
სევილია	10	2	6	2	12:13	12
სარაგოსა	10	3	2	5	8:10	11
სელტა	10	2	4	4	13:14	10
ალბასეტე	10	3	0	7	10:15	9
მალიორკა	10	2	2	6	9:20	8
მურსია	10	1	4	5	7:16	7
ესპანიოლი	10	1	2	7	8:22	5

ესპანური პრიმერას მე-11 ტურში კატალონიური „ბარსელონა“ საომრად მომხვდურ „ბეტისს“ დაუხვდება. მოგეხსენებათ, საშინაო მარცხის თარსი ჩვევა ფრანკ რაიკარდის შეგირდებმა მე-9 ტურში ხოაკინ პეიროს „მურსიასთან“ ერთად დაასამარეს (3:0) და ხვალინდელ მატჩშიც „კამპ ნოუს“ ინჩასები მათგან მხოლოდ მოგებას ელიან.

„ბეტისი“ იოლად არაფერს დაგვითმობს, მაგრამ მე ჩემი გუნდის სიძლიერეში დარწმუნებული სრულად ვარ. „ბარსელონამ“ „მურსიასთან“ მიღწეული შედეგი უნდა გაიმეოროს“ — იმედიანად აცხადებს მასპინძელთა ჰოლანდიელი დამრიგებელი. კატალონიური გრანდი პრიმერაში განცდილი ორი უსახური მარცხის შემდეგ („ვალენსია“, „დეპორტივო“) გონს მოეგო და მას შემდეგ ესპანეთში თუ ევროპულ სარბიელზე თითო მატჩში 3 გოლზე ნაკლები არ გააქვს. სევილიელებთან რაიკარდს ოდენ ტიაგო მოტა არ ეყოლება (ბრაზილიელმა წინა თამაშში წითელი ბარათი მიიღო), დანარჩენ ძირითად ბირთვს კი უპრობლემოდ შეეძლება „კამპ ნოუზე“ გასვლა. ვიქტორ ფერნანდესის „ბეტისი“ სატურნირო ცხრილში ამჟამად მეთერთმეტეა, ხოლო თუ „ბარსას“ დაამარცხებს, უეფაზე გამსვლელთა ექვსეულში მოხვედრის კარგი შანსი ეძლევა. თუმც ბოლო ათწლეულის საპრიმერო ისტორია სტუმართათვის მეტად მძიმეა. ამ ხნის განმავლობაში კატალონიაში მათი ვიზიტები მხოლოდ ერთხელ დასრულდა ფიესტით (97-98, 1:3), ერთხელაც მცირეგოლიანი ფრით იხეირეს (94-95, 1:1), რვა შეხვედრა კი სახელოვან მასპინძლებს ორბუროიანი სხეაობით ჩაბარეს.

სხვა მატჩებიდან „ბილბაო“ — „ესპანიოლის“ და „დეპორტივო“ — „სოსიედადის“ შეხვედრებია გამოსარჩევი. მაჩანჩალა „ესპანიოლს“ (ცხრილში ბოლო ადგილი) შესაძლოა, მხსნელად ადრინდელი ბილბაელი ლუის ფერნანდესი მოეკლინა და ბედის ირონიით მისი ახლანდელი სამწვრთნელო კარიერის ათვლა სწორედ „ატლეტიკოთან“ სტუმრად თამაშით იწყება. ფრანგის შეგირდთა სიტუაციას ისიც ართულებს, რომ 30 აგვისტოს „ბარსელონასთან“ 0:1-ის შემდეგ ბასკებს მშობლიურ „სან მამესზე“ წაგება არ უნახავთ.

პრიმერას მესამეადგილოსანი გალისიური „დეპორტივო“ კი ჩემპიონთა ლიგაზე „მონაკოსთან“ ჯოჯოხეთური განადგურების (3:8) მერე „რიასორის“ ქომაგთა თვალში სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. ამიტომაც სანსებასტიანელებს მძინვარე ომი ელოდებათ. „სოსიედადს“ ლა კორუნიაში ტრავმების გამო დე პედრო, კოვაჩევიჩი და აიტორ ლოპეს რეკარტე ვერ დაეხმარებიან.





ლუის ფერნანდესი და ფრანკ რაიკარდი



ბერტ ვან მარვიიკს ფრანტიშეკ სტრაკამ აშკარად დასცინა

ტეპლიცემ გაასტრაკა

„ფეიენოორდის“ მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა ფრანტიშეკ სტრაკას „ტეპლიცე“ საოცნებოდ ვერ შეაფასა და დაისაჯა. ჩეხურმა გუნდმა წინა ეტაპზე „კაიზერსლაუტერნი“ დაიჭირნა და ალბათ ჰოლანდიელებსაც იმავე გზას გაუყენებს.

როტერდამელებს მეტოქე თვალში ეპატარავათ და მატჩის დასაწყისშივე მოისურვეს მათი წახდენა. სტუმრები საამისოდ კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ, „ფეიენოორდს“ ჩაუსაფრდნენ და პირველივე კონტრშეტევაზე იხეირეს.

იან რეჟეკი მასპინძელთა ბოლო მცველ სვერტს დაუსხლტა და კარისკენ მოძუძგა. სვერტს ისღა დარჩენოდა, გაქცეული წესის დარღვევით შეეჩერებინა. მსაჯმა იგი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გაიძვა და ბერტ ვან მარვიიკის გუნდი უმცირესობაში დარჩა.

რეჟეკის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა მიხალ დოლეჟალმა უზადოდ შეასრულა და ბურთი ზუტებერისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეაბრძანა.

კაენაკელულ „ფეიენოორდს“ გეგმა თავიდანვე აერია, „ტეპლიცემ“ კი დაცვა კიდევ უფრო გაამკაცრა. ასეთ ვითარებაში ჩეხთა გატეხვა მასპინძლებს, ცხადია, გაუნელდათ, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით უტევდნენ.

პირველ ტაიმში დამხვდურებს ფორვარდი შინჯი ონო დაუშავდათ, რითაც მათი შემტევი პოტენციალი დასუსტდა.

შესვენების შემდეგ მიხალ დოლეჟალმა და რეჟეკმა ზურგმოშშლებული „ფეიენოორდი“ მეორედ გამოიჭირეს კონტრიერიშზე. მარჯვენა ფლანგზე დაწყებული კომბინაცია რეჟეკის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

მასპინძლებმა ამის შემდეგ ბოლომდე ვეღარ გარისკეს, რადგან მესამე გოლის გაშვების შემთხვევაში საქმე ძალიან გაურთულდებოდათ, 0:2-ზე კი შანსი კიდევ დარჩათ, თუმც ჩეხეთში ორბურთიანი სხვაობის გაბათილებაც არ იქნება იოლი.

აღმოსავლეთევროპული მეორე გუნდი „გროცლინი“ მანჩესტერში „სიტის“ ეომა და იქაურები გააკვირვა. ნამატჩევს კევინ კიგანმა თქვა, ჩემი ფეხბურთელები იოლ გამარჯვებაში იყვნენ დარწმუნებულნი და გვარიანი ალიყურიც მიიღესო.

„სიტიმ“ მეტოქე პირველ თხუთმეტ წუთში არ მოასვენა და გოლიც მოიმკა. ნიკოლა ანელკამ სტუმართა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მასპინძლებმა მოწინააღმდეგეს თავბრუ დაახვიეს, მაგრამ მეორედ ვეღარ იხეირეს.

შესვენების შემდეგ „გროცლინმა“ მანჩესტერელთა დამუხრუჭება ცენტრშივე სცადა და ეს საქმე კარგად გამოუვიდა. შედეგად პოლონელებმა გაქვითვა შესძლეს. სებასტიან მილას დარტყმულს დევიდ სიმენი ვერ მისწვდა. ამ მომენტიდან „გროცლინმა“ საკუთარი თავისა იწამა და „სიტიც“ ისე ლაღად ვეღარ უტევდა, როგორც პირველ ტაიმში. შეხვედრის ბოლოს კევინ კიგანის გუნდი მიეძალა პოლონელთა საჯარიმოს, მაგრამ ამაოდ.

„მე ვნახე და კარგად გავარჩიე „მანჩესტერ სიტის“ წინა მატჩი „ლოკერენთან“. მეორე ტაიმში ჩემმა ბიჭებმა დავალება ფრიადზე შეასრულეს და დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის კარგად თამაში შეუძლიათ“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ბოგუსლავ კაუმარეკმა.

„ვალენსია“ ისრაელის ჩემპიონატის ლიდერ „მაკაბის“ ოდენ უგულო ფრეს გამორჩა, რადგან ჰაიფელებმა ისე ითამაშეს, როგორც თავის დროზე კუპერისეული „ვალენსია“ თამაშობდა.

რეალური საგოლე მომენტი მასპინძლებს სულ ორი ჰქონდათ. პირველ ტაიმში პაბლო აიმარმა ორი მცველი ჩამოიშორა, მაგრამ „მაკაბის“ მეკარე დავიდოვიჩმა არ გაატანინა. შესვენების შემდეგ ამადეო კარბონის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ჰაიფელები დამხვდურთა ზეწოლას გამართულად გაუმკლავდნენ და რაფაელ ბენიტესი გაწბილებული დატოვეს.

ასევე ძალიან გაუჭირდა „რომას“ „ჰაიდუკთან“. „როცა მეტოქე ათი კაცით საკუთარ საჯარიმოშია შეყუჟული, გოლის გატანა ძნელია. საბედნიეროდ, ჩვენ მაინც შევძელით მოგება და, ცხადია, მოხარული ვარ“.

ფაბიო კაპელო გასულ ზაფხულს შეძენილი იონ კარეუს სიმაღლემ იხსნა. ნორვეგიელმა მეტოქეს ჰაერში აჯობა და თავით ბურთი ანტონიო კასანოს დაუგდო, რომელმაც „რომას“ ქომაგები გოლით გაახარა.

„ბორდოს“ ახალი მწვრთნელის, მიშელ პავონის საევროთასო დებიუტი მარცხიანი გამოდგა. „ჰართსი“ — „ტეპლიცეს“, „ჰაიდუკისა“ და „გროცლინის“ მსგავსად, მთელი მატჩის განმავლობაში მეტწილად თავს იცავდა. შოტლანდიურმა გუნდის მეკარე კრეიგ გორდონმა კი სასწაულები ჩაიდინა.

„ჰართსმა“ მეორე ტაიმში გაიხარა. კევინ მაკკენას საჯარიმო დარტყმა ულრიხ რამეს მოიგერია, ბურთი ძელს მოხვდა, გადმოვარდნილს კი მარკ დე ვრიზმა საგოლედ დაამატა.

ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელმა კრეიგ ლევინმა თქვა: „0:1 ან 1:2 რომ წაგვგო, მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ სახლში გამარჯვებით დავბრუნდებოდით“.

ბორდოში შოტლანდიელმა ფანებმა გაიხარეს

უეფას თასი

UEFA CUP 1/32 ფინალი. პირველი მატჩები. წუხელ UEFA CUP

სპარტაკი (რუსეთი) 4:0 **დინამო** (რუმინეთი)
1:0 პიანოვიჩი (23), 2:0 კალინიჩენკო (58), 3:0 პიანოვიჩი (62), 4:0 პავლენკო (73)
სპარტაკი: კოვალევსკი, პარფიონოვი, მიტრესკი, მოიზესი, კუბე, პავლენკო, ტრობოკი, ტიტოვი, კალინიჩენკო (დანიშევსკი 88), პიანოვიჩი, ტორბინსკი
გიორგი ლომაია სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
გაფრთხილება: მოიზესი
გაძევება: ბადია (89, დინამო)
მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
12 000 მაყურებელი

შალკე (გერმანია) 2:1 **ბრონდბიუ** (დანია)
0:1 იაკობსონი (35), 1:1, 2:1 ჰანკე (60, 73)
შალკე: როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი, **კობიაშვილი**, პინტუ (ასამოა 63), უდე კამპუისი (ალტინტოპი 63), ვერმანტი, ტროიანი, სანდი, ჰანკე
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
50 538 მაყურებელი

სლავია (ჩეხეთი) 2:2 **ლევსკი** (ბულგარეთი)
1:0 კუკა (22), 1:1 გ. ივანოვი (77), 1:2 მ. მიულერი (90), 2:2 ფორტი (90)
გაძევება: პიტაკი (82, სლავია)

დინამო (ხორვატია) 0:2 **დნიპრო** (უკრაინა)
0:1 ვენგლინსკი (8), 0:2 მაქსიმიუკი (84)

გაზიანთეფი (თურქეთი) 3:0 **ლანსი** (საფრანგეთი)
1:0 დევრანი (43), 2:0 ბუაზიზი (60), 3:0 ლაზაროვი (65)

უტრეხტი (ჰოლანდია) 0:0 **ოსერი** (საფრანგეთი)

ვოლერენგა (ნორვეგია) 0:0 **ვისლა** (პოლონეთი)
გაძევება: გორავსკი (87, ვისლა)

ბორდო (საფრანგეთი) 0:1 **ჰართსი** (შოტლანდია)
0:1 დე ვრიზი (78)

პანიონიოსი (საბერძნეთი) 0:3 **ბარსელონა** (ესპანეთი)
0:1 ლუის გარსია (44), 0:2 კლუივერტი (46), 0:3 ხავი (90)

გენჩლერი (თურქეთი) 1:1 **სპორტინგი** (პორტუგალია)
0:1 ლეიდსონი (50), 1:1 ჯიპან ვეისელი (55)

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 **ტორპედო** (რუსეთი)
1:0, 2:0 რიკელმე (52, 68)

მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 1:1 **გროცლინი** (პოლონეთი)
1:0 ანელკა (6), 1:1 მილა (65)

კოპენჰაგენი (დანია) 1:2 **მალიორკა** (ესპანეთი)
0:1 ალბრეხტსენი (28ს.კ.), 1:1 ალბრეხტსენი (31), 1:2 ნაგორე (72)

ბაზელი (შვეიცარია) 2:3 **ნიუკასლი** (ინგლისი)
1:0 კანტალუპი (11), 1:1 რობერი (14), 2:1 ჩიპერფილდი (15), 2:2 ბრემბლი (37), 2:3 ამეობი (76)

დორტმუნდი (გერმანია) 2:2 **სოშო** (საფრანგეთი)
0:1 ფრასჩილენდუ (12), 0:2 ფრო (27), 1:2 სენესიე (68), 2:2 ევერტონი (76)

ზალცბურგი (ავსტრია) 0:4 **პარმა** (იტალია)
0:1 ე. ფილიპინი (60), 0:2 ჯილარდინო (65), 0:3 ნაკატა (83), 0:4 როზინა (86)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:2 **ტეპლიცე** (ჩეხეთი)
0:1 დოლეჟალი (3), 0:2 რეჟეკი (67)
გაძევება: სვერტსი (2, ფეიენოორდი)

بენფიკა (პორტუგალია) 3:1 **მიოლდე** (ნორვეგია)
1:0 ნუნუ გომეში (19), 2:0 ჯოვანი (50), 3:0 ნუნუ გომეში (54), 3:1 ჰესტადი (75)

რომა (იტალია) 1:0 **ჰაიდუკი** (ხორვატია)
1:0 კასანო (90)

პერუჯა (იტალია) 2:0 **არისი** (საბერძნეთი)
1:0, 2:0 მარჯოტა (46, 89)
გაძევება: კარალიოპულოსი (88, არისი)

სტიაუა (რუმინეთი) 1:1 **ლივერპული** (ინგლისი)
0:1 ჯ. ტრაორე (23), 1:1 რადუჩანუ (69)

პაოკ (საბერძნეთი) 1:1 **დებრეცენი** (უნგრეთი)
1:0 კარადიმოსი (17), 1:1 ბაიზატი (25)

ვალენსია (ესპანეთი) 0:0 **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი)

შვეიცარიის ჩემპიონატში უძლიერესმა „ბაზელმა“ სწრაფად გატანილი გოლით „ნიუკასლი“ ოდნავ კი ააფორიაქა, მაგრამ სტუმრებმა როლან რობერის წყალობით მალევე გათანაბრეს.

მასპინძლებმა დაწინაურება უმალვე შეძლეს, სკოტ ჩიპერფილდის დარტყმული ბურთი გზად ჯერმენ ჯენასს შეეხო, მიმართულება იცვალა და შეი გივენი გაშეშებული დარჩა.

„ნიუკასლი“ მეორე გოლმაც არ დააბნია: ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ტიტუს ბრამბლიმ გაქვითა.

შესვენების შემდეგ მეტოქეებმა დაცვას უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს, თუმც შოლა ამეობიმ მეურვის შეცდომით ერთ ეპიზოდში მაინც ისარგებლა და პასკალ ცუბერბიულერს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა.

სერ ბობი რობსონმა თავისი გუნდი შეაქო, სტუმრად „ბაზელისთვის“ სამი გოლის გატანა ხუმრობა არაა, ბიჭებმა ეს გამარჯვება ალალად დაიმსახურესო.

გელზენკირხენში „ბრონდბიუ“ „შალკეს“ უგებდა, მაგრამ „ხუმარების“ ახალგაზრდა ფორვარდმა მაიკ ჰანკემ ცამეტ წუთში გატანილი ორი გოლით მატჩის ბედი შემოაბრუნა. განსაკუთრებით ლამაზი პირველი გამოდგა. ბურთი მცველს თავზე გადაავლო და მახვილი კუთხიდან კარში გამოამწყვდია.

ამ შეხვედრაში ტრავმამოშუშებული ჰამიტ ალტინტოპი გამოჩნდა, რომელიც ასე ძალიან აკლდა „შალკეს“. ჰანკეს მეორე გოლი სწორედ თურქის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა.

ბუქარესტში წვიმდა და „სტიაუა“ — „ლივერპულის“ მატჩის სანახაობრივი მხარე სველმა მინდორმა შეიწირა. სტუმართა ფრანგმა ლეგიონერმა ჯიმი ტრაორემ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მოიხელთა და თხუთმეტიოდ მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმში მასპინძლები შეცვლაზე შესულმა ადრიან პიტუმ გამოაცოცხლა, რომლის პასითაც კლაუდიუ რადუჩანუმ გათანაბრება შეძლო.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

ინგლისი

პრემიერლიგა. XII ტური

8 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2X-2
16.30	001	ვულვერჰემპტონი-ბირმინგემი	2,6	3,2	2.45	1,43	1,26 1,38
19.00	002	არსენალი-ტოტენჰემი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2 2.46
	003	არსენალი-ტოტენჰემი 0:1	2,05	3,2	2,45		
19.00	004	ასტონ ვილა-მიდლსბრო	2,05	3,1	3,5	1,23	1,29 1,64
19.00	005	ბოლტონი-ნიუკასლიუნაიტედი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29 1,47
19.00	006	ჩარლტონი-ფულჰემი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28 1,54
19.00	007	პორტსმუთი-ლიდსი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24 1,72

9 ნოემბერი

17.45	008	ლიესტერი-მანჩესტერი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27 1,35
19.00	009	სიტი-ლივერპული	1,5	3,6	6,5	1.05	1,21 2,31
20.05	010	წელსი-ნიუკასლი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22 2,1

10 ნოემბერი

24.00	011	ბლეკბერნი-ედვერტონი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28 1,6

ინგლისი

I დივიზიონი. XVIII ტური

8 ნოემბერი

19.00	019	ბრედფორდი-უოლსოლი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27 1,46
19.00	020	კარლაიფი-სტეკი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23 2,21
19.00	021	კრისტალ პალასი-პრესტონი	2,4	3,2	2,7	1.37	1,27 1,46
19.00	022	დერბი-იფსვიჩი	2,8	3,2	2,35	1.49	1,27 1,35
19.00	023	ვოლინგემი-ქრიუ	2,15	3,2	3,2	1,28	1,28 1,6
19.00	024	ნორიჩი-მიდლუოლი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24 1,95
19.00	025	ნოტინგემი-უოტფორდი	1,6	3,5	5,3	1.09	1,22 2,1
19.00	026	რეადინგი-ფიფუნი	2,35	3,2	2.8	1,35	1,27 1,49
19.00	027	როტერჰემი-უიმბლდონი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24 1,76
19.00	028	შეფილდი-ბარნლი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22 2,1
19.00	029	სანდერლენდი-ქოვენთრი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24 2,02
19.00	030	ვესტ ჰემი-ვესტ ბრომიჩი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27 1,64

შოტლანდია

პრემიერლიგა

XII ტური

8 ნოემბერი

19.00	034	სელტიკი-დანფერმლაინი	1,1	7,5	17,0	1	1,03 5,2
	035	სელტიკი-დანფერმლაინი 0:1	1,3	4,0	5,0		
19.00	036	დანდი-მიზერველი	2.0	3,3	3,4	1,24	1,25 1,67
19.00	037	ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24 1,72
19.00	038	ლიჟინგსტონი-პარტიკი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21 2,09

9 ნოემბერი

19.00	039	კილმარნოკი-რეინჯერსი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11 1
20.00	040	აბერდინი-პარიხი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28 1,28

შოტლანდია

I დივიზიონი. XII ტური

8 ნოემბერი

19.00	043	ეარი-ინვერნესი	2,6	3,5	2,25	1,49	1,2 1,36
19.00	044	რეიით-ჭუნი	2,6	3,4	2,3	1,47	1,22 1,37
19.00	045	როსი-ფოლკირკი	2,5	3,4	2,35	1,44	1,21 1.38
19.00	046	სტენჰაუსმიური-კლაიდი	1,95	3,4	3,3	1,23	1,22 1,67
19.00	047	სტენტირენი-ბრეჩინი	1,5	3,8	4,8	1,07	1,14 2,12

შოტლანდია

II დივიზიონი. XII ტური

8 ნოემბერი

19.00	050	ერვინი-ისტ ფაიფი	1,95	3,6	3,0	1,26	1,18 1,63
19.00	051	არბროუთი-ალოა	2,15	3,5	2,7	1,33	1,19 1,52
19.00	052	ბერიკი-ლამბარტონი	1,7	3,5	4,0	1,14	1,19 1,86
19.00	053	მორტონი-ფალკირკი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18 1,93
19.00	054	სტენჰაუსმური-პაუმელტონი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19 1,52

შოტლანდია

III დივიზიონი. XII ტური

8 ნოემბერი

19.00	057	ისტ სტირლინგი-სტრანრაერი	5,6	4.0	1,45	2,33	1,15 1.06
19.00	058	გრეტნა-ელგინი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16 2,21
19.00	059	მონტროზი-აბერდინი	3,0	3,6	1,95	1,63	1,18 1,26
19.00	060	პიტერჰედი-სტირლინგი	2,8	3,5	2,1	1.55	1,19 1,31
19.00	061	ჭეინს პარკი-კოუდენბეთი	2,9	3,4	2,1	1,56	1,21 1,29

გერმანია

ბუნდესლიგა. XII ტური

8 ნოემბერი

18.30	064	ჰამბურგი-ფაინტენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24 1,8
18.30	065	ბოხუმი-კიოლნი	1.65	3,5	4,8	1.12	1,22 2,02
12-27 --- მოსულიშვილი შოთა გიორგის ძე ---------- 33
12-27 --- სანიკიძე დავით შოთას ძე ---------- 33
12-27 --- სერებრიაკოვი გია ჰამლეტის ძე ---------- 33
12-27 --- ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე ---------- 33
12-27 --- წიკლაური მაია ინგურის ას ---------- 33
12-27 --- წიქარიძე იური ქიონის ძე ---------- 33
12-27 --- ჭიპაშვილი ნოდარ გიორგის ძე ---------- 33
12-27 --- ჯოჯუა დავით შოთას ძე ---------- 33

შედეგების გაპრეტესტება შეიძლება 13 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის ვრ, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)

მომდევნო კვირის კალენდარი

<u>10 ნოემბერი</u> - გაზეთი „ახალი ვერსია“, მესამე ეტაპის მეთორმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ძვეყნების შესარჩევი(19 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეხუთე და მეექვსე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ.

<u>11 ნოემბერი</u> - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ძვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი).

<u>12 ნოემბერი</u> - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ძვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეშვიდე და მერვე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.

<u>13 ნოემბერი</u> - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ძვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეშვიდე და მერვე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.

<u>14 ნოემბერი</u> - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ძვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი).

<u>15 ნოემბერი</u> - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთორმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (19 ნოემბერი), მესამე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები,მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ.

ლუის გარსიამ გოლი გაიცნო

რთული ამოცანის მარტივი პასუხი

„ბარსელონა“ უეფას თასზე წარმატებულ სვლას განაგრძობს. ამჯერად კატალონიელთა მსხვერპლი ელინური „პანიონიოსი“ აღმოჩნდა (0:3). სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში ფრანკ რაიკარდის სხვა შეგირდებთან ერთად თავი ახალგაზრდა ესპანელმა ნახევარმცველმა ლუის გარსიამაც გამოიჩინა. იგი მთელი მატჩის განმავლობაში შესანიშნავად თამაშობდა და „ნეა სმირნაზე“ გოლის შეგდებაც შეძლო. ჩაუქად მობურთალი ლუის ხავიერ გარსია სანსს პირინეული „ლიბრედირეკტო“ გაესაუბრა



— გოლის გატანა ყოველთვის სასიხარულოა და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, ევროსარბიელზე...

— გეთანხმებით. გარდა ჩემს მიერ გატანილი ბურთისა, რამაც ვერ დაგიმალავთ, უსაზღვროდ გამახარა, „ბარსას“ თამაშმაც ძლიერ მომხიბლა. შედეგითაც კმაყოფილი ვარ. 3:0 ბრწყინვალე ანგარიშია.

— ფრანკ რაიკარდმაც აღნიშნა საკუთარი ფეხბურთელების კარგი თამაში. თქვენი აზრით, „ბარსელონამ“ ბერძნებთან სრული საბრძოლო ძალა გამოავლინა?

— ვიცოდით „პანიონიოსის“ ჩაკეტილი დაცვის შესახებ. მათი ფეხბურთი ხომ ძირითადად უკანა ხაზის ყრუდ ჩარაზვით გამოირჩევა. ძლიერი განპირა მცველები ჰყავთ, თუმცა რაიკარდის მითითებების ზუსტად შესრულებით რთული ამოცანა წარმატებით ამოვხსენით. რაც შეეხება „ბარსას“ სრულ საბრძოლო ძალას, დამოუკერეთ, ჩვენ გუნდს გაცილებით უკეთესი შეხვედრების ჩატარებაც შეუძლია.

— ეს „ბარსელონას“ შემადგენლობაში თქვენი პირველი გოლი იყო?

— დიახ, რაც ამ გუნდის მაისურა მაცვია, პირველად გავიტანე. ადრინდელ შეხვედრებში ბევრი კარგი საგოლე მომენტი მქონდა, მაგრამ ბედმა ასე ინება, რომ ეს ამბავი „პანიონიოსთან“ მეზეიმა. უკვე ძალიან გაღიზიანებული ვიყავი ჩემი უშედეგობით, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ბერძნებს თქვენს წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდათ. მატჩის შემდეგ იქაურთა მწვრთნელი საშინაო მარცხს ლამის მარტო ლუის გარსიას სისწრაფესა და ზუსტ პასებს აბრალებდა...

— მოხარული ვარ, თუ ასე თქვა. სისწრაფე ყველა თამაშში ძალიან მეხმარება, სხვანაირად „ბარსას“ იერიშებში ვერაფრით ჩაერთვები.

— იგრძნობა, რომ „ბარსელონამ“ შესაბამის სათამაშო სტილს მიაგნო და ახლა სეზონის დასაწყისთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურება. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— რაც დრო გადის, მით უფრო კარგად ვსწავლობთ ერთმანეთის საფეხბურთო თავისებურებებს. უკვე ვიცით, ვინ როგორ მოძრაობს, ვინ რომელ ფლანგზე უფრო აქტიურია და ამან თავისთავად ნაყოფიერი შედეგი მოიტანა. „ბარსა“ დღეს ცალკეული ვარსკვლავების კი არა, ერთიანი და ძლიერი გუნდია.

— ეს ალბათ მომავლისადმი დიდ რწმენას გმატებთ...

— რა თქმა უნდა, რწმენასაც გვმატებს და პასუხისმგებლობასაც. ყველას გვჯერა, რომ თუ ასე გავაგრძელებთ, კატალონიური ფლაგმანი მოწინააღმდეგეთა ნამდვილი რისხვა გახდება.

— „ბეტისთან“ საკვირაო შეხვედრაზე რას ფიქრობთ?

— რთული მატჩი იქნება, ისევე როგორც ყოველი საპრიმერო შერკინება. მიუხედავად ამისა, ჩვენ „კამპ ნოუს“ ინჩადას დამწუხრებას არ ვაპირებთ და „ბარსელონას“ მიზანიც მხოლოდ გამარჯვებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ესპანიოლის“ კაპიტანი რაულ ტამუდო (მარცხნივ) თავისიანებს ჯერ ვერ ეხმარება

ტამუდოს ფსიქოლოგი ახარებს, დრო ადარდებს

„ესპანიოლის“ კაპიტანი რაულ ტამუდო კატალონიურ კლუბში ახალი მწვრთნელის მისვლასთან დაკავშირებით იქაურ „ლიბრედირეკტოს“ ჟურნალისტს ესაუბრა.

„ხავიერ კლემენტეს საწინააღმდეგო არც მე მქონდა რამე და არც გუნდის სხვა წევრებს, მაგრამ, საუბედუროდ, მსოფლიო ფეხბურთი ოდენ მიღწეული შედეგით იზომება. ამ სეზონში ათიდან მხოლოდ ერთი თამაში მოვიგეთ და კლუბის პრეზიდენტიც ამიტომ გახდა იძულებული, ახალ დამრიგებლად ლუის ფერნანდესი მოეწვია“ — დანანებით აღნიშნა „ლურჯ-თეთრთა“ გამოცდილმა მოთამაშემ. ტამუდოს აზრით, ბილბაოს „ატლეტიკის“ ყოფილი თავკაცი და ესპანური პრიმერას კარგად მცოდნე ფერნანდესი კატალონიელებისთვის კარგი მწვრთნელი იქნება, თუმცა „ესპანიოლის“ ამჟამინდელი სიტუაცია (სატურნირო ცხრილში ბოლო, მე-20 ადგილი) და მუდმივი მარცხით დათრგუნული ფეხბურთელების შესაბამის საბრძოლო განწყობაზე მოყვნა ფრანგ მეესტროს დიდ სირთულეებს შეუქმნის: „ჯერ გეტყვით, რომ საფეხბურთო კარიერაში ბევრი მწვრთნელი მყავდა, თუმც მათ შორის, ვისაც ვიცნობ, ლუისი ყველაზე მეტად დახელოვნებული ფსიქოლოგია. ფეხბურთელებს ყურადღებით უსმენს, თავადაც ბევრს ესაუბრება, მაგრამ ამ ეტაპზე „ესპანიოლის“ გაძღოლა ზეკაცურ ძალისხმევას მოითხოვს. რაც უნდა იყოს, იმედი მაქვს, ფერნანდესი ამ ტვირთს თავს გაართმევს“ — განაცხადა კაპიტანმა.

თავდამსხმელ რაულ ტამუდოს მოსწონს, ფრანგი შემტევ სტილს რომ აძლევს უპირატესობას, ოღონდ, ესეც თქვა: „მთელ მსოფლიოს შემტევი და აგრესიული ფეხბურთი მოსწონს, ლუისსაც სავსებით ვეთანხმები, ჩვენთან ამ სტილის დანერგვას რომ ცდილობს, მაგრამ სხვა საქმეა, ეს ჩანაფიქრი როდის და როგორ განხორციელდება. ვშიშობ, ამისთვის დრო ძალიან მცირე გვაქვს“.

თავად კაპიტანს ყოფილი ბილბაოელის მეთაურობით „ესპანიოლის“ ღირსებისთვის ბრძოლა დიდხანს დაუგვიანდება. მარჯვენა ფეხის მძიმე ტრავმის გამო ბარსელონელთა ჩაუქი მეომარი თავისიანების საპრიმერო შეტაკებებს თვალს მხოლოდ ტრიბუნიდან ადევნებს.

ლადო ხომერიკი

ვინ იქნება სამში ერთი?

მილანი რივალდოს შემცვლელს ეძებს

კახა კალაძემ გვითხრა — ყველაფერი არა, მაგრამ ინფორმაციის მეტი წილი რაც ინტერნეტით ვრცელდება და იწერება გაზვიადებულია, „მილანი“ იანვარში არავის უშვებსო.

ცხადია, ჩვენებურმა უკეთ იცის, რაც ხდება „როსონერის“ „სამზარეულოში“ და უფლებაც არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ, თუმც...

მოკლედ, უფრო და უფრო ხშირად ისმის, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონი გაიხსნება თუ არა, თავისი ყოფით გატანჯული ბრაზილიელი რივალდო „მილანს“ აუცილებლად გაეყრებაო.

და იწერება: „მილანი“ რივალდოს შემცვლელს ეძებს!

შევნიშნოთ, რომ „შავ-წითელთა“ თავდამსხმელები ბრაზილიელის გარდა ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინზაგი, იონ დალ ტომასონი და მარკო ბორიელო არიან. თითქოსდა, ეს ოთხეულიც საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ... გალიანმ უკეთ იცის და ფორვარდსაც ამიტომ ეძებს.

ერთი სიტყვით, კლუბის ვიცეპრეზიდენტმა ემისრები ერთბაშად სამგან დაგზავნა — გენერალური მენეჯერი არიელო ბრაიდა და ვიცეპრეზიდენტი ლეონარდო ბრაზილიაში არიან, უბრალო სკლექციონერი, თუმც დიდი კაცი ჯერ ათენში გახლდათ და ახლა გერმანიაშია, ჩეზარე მალდინიზე გვაქვს ლაპარაკი და ერთი სკუტიც ესპანეთშია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ბარემ ვთქვათ: „როსონერის“ სამიზნე სამიდან ერთი ფორვარდია — 23 წლის ლუის ფაბიანო ბრაზილიური „სან პაულუდან“, 19 წლის ვუნდერკინდი ფერნანდო ტორესი მადრიდის „ატლეტიკოდან“ და 21 წლის გერმანელ-პანამელ-ბრაზილიელი კევინ კურანი ბუნდესლიგელი „შტუტგარტიდან“.

ლუის ფაბიანო

ამათგან რომელი გახდება უმთავრესი და რომელი მოირგებს „მილანის“ მაისურას, ცხადია, ჯერ ნადრევია ლაპარაკი, მაგრამ ინტერესიც რომაა, ფაქტია.

გავრცელებულ ზოგიერთ დეტალზედაც ვთქვათ: ლუის ფაბიანოს სანაცვლოდ „სან პაულუ“ სულ რაღაც 15 მილიონ დოლარს ითხოვს, ფერნანდო ტორესი მასთან შედარებით ძალიან ძვირადღირებულია — 40 მილიონი ევრო მისი საწყისი ფასია. აი, კურანი კი... „შტუტგარტის“ ლიდერს გუნდთან კონტრაქტი 2005 წლის ივნისს ეწურება. ამბობენ, ბუნდესლიგის ლიდერები ფინანსურ კრიზისს განიცდიან და კლუბის ხელმძღვანელობა, სარფიანი წინადადების მოლოდინში მზადაა კევინს შეელიოსო.

„ვაძეტა დელო სპორტი“ კი სულაც წერს, ანვარიდან „სან სიროზე“ ფერნანდო ტორესი გამოჩნდებაო.

გიორგი ვაშაკიძე



არ გინდათ ოცი ათასი?

შეაფურთხეთ!

გუშინ უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ძალიან მართებული და დროული განაჩენი გამოუტანა რომის „ლაციოს“ სერბ მცველ სინიშა მიხაილოვიჩს. სინიშას სამშაბათს ჩადენილი უხამსი საქციელი არ ეპატია. მან ადრიან მუტუს შეაფურთხა.

ჰოდა, უზრდელობა მასე არ უნდაო და მიხაილოვიჩის წლევანდელი ევროთამაშებიც ამოიწურა, მას რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და 20 000 შვეიცარიული ფრანკის გადახდაც ჯარიმის სახით დააკისრეს.

ბრაზილია

XLI ტური

გოიასი — ატლ. პარანენსე 4:1; გუარანი — სან კაეტანო 0:1; ბაია — პონტე პრეტა 1:0; ფლამენგო — ატლ. მინეირო 3:2; ფუტბუ — კრისიუმა 3:1; ინტერნასიონალი — ფორტალეზა 1:1; პარანა — ფიგეირენსე 1:1; პაისანდუ — ვასკუ და გამა 1:2; სანტოსი — ვიტორია 3:1; სან პაულუ — ფლუმინენსე 1:0; კურიტიბა — კორინთიანსი 1:0; კრუზეირო — გრემიო 3:0

კრუზეირო	41	26	7	8	84:43	85
სანტოსი	41	23	10	8	83:50	79
სან პაულუ	41	20	11	10	71:57	71
კურიტიბა	41	20	8	13	60:51	68
სან კაეტანო	41	16	14	11	41:32	65
ინტერნასიონალი	41	18	9	14	51:46	65
ატლ. მინეირო	41	16	15	10	69:57	63
გოიასი	41	17	11	13	73:54	62
ფლამენგო	41	16	11	14	59:64	59
პარანა	41	16	10	15	76:65	58
გუარანი	41	16	9	16	61:65	57
კრისიუმა	41	16	9	16	53:60	57
ფიგეირენსე	41	13	14	14	52:50	53
ვიტორია	41	14	10	17	48:58	52
კორინთიანსი	41	13	11	17	56:57	52
ატლ. პარანენსე	41	14	8	19	54:64	50
ვასკუ და გამა	41	12	13	16	50:61	49
ფუვენტუდე	41	10	14	17	49:63	47
პაისანდუ	41	14	11	16	67:67	45
პონტე პრეტა	41	10	16	15	55:65	45
ბაია	41	11	10	20	54:75	43
ფლუმინენსე	41	10	11	20	43:66	43
ფორტალეზა	41	10	12	19	47:64	42
გრემიო	41	9	10	22	41:63	37

„სან კაეტანოს“ და „ფუვენტუდეს“ დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს“, „კორინთიანსს“ და „ფლუმინენსეს“ — 2-2; „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს“ — 8

IRB RUGBY WORLD CUP 2003

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

დავით ბოლოღაშვილი:

ჩვენ რაგბი არ გვითამაშია სხვებს ვერ მოვერიეთ და ერთმანეთს დავერიეთ

საქართველოს ნაკრების თავკაც კლოდ სორელის ბედი დეკემბრისთვის გაირკვევაო, ამბობენ ჩვენი რაგბის კავშირის თავკაცები. მანამდე კი ბორჯღალოსნები არ მალავენ, რომ მათ ახლა სორელზე უკეთესი მწვრთნელი სჭირდებათ. რატომ ვერ ითამაშა ავსტრალიაში საქართველომ რაგბი? რა მოხდა მსოფლიოს თასზე და რატომ იყო მწვრთნელ-მორაგბეებს შორის უნდობლობა? მწვანე კონტინენტიდან დაბრუნებულ ბორჯღალოსან დავით ბოლოღაშვილს ამად გავესაუბრეთ

დავით ბოლოღაშვილს ავსტრალიაში ბურთი და თამაში მოაყლდა

— ჩვენ ავსტრალიაში რაგბი არ გვითამაშია. ის, რაც ვითამაშეთ, იყო რაღაც, რაც რაგბისთან არის მიახლოებული. რატომ გიკვირთ, რომ ყველა მატჩი წავაგეთ? ორი პასი ვერ გადავაბით.

— და რატომ ვერ ითამაშეთ?

— რაც არ ვიცით, იმას როგორ ვითამაშებთ... არ გვქონდა ტაქტიკა, კონკრეტული გეგმა, სტრატეგია... იტალიასთან ტესტის შემდეგ კლოდ სორელმა რაღაც ახალი ტაქტიკა მოიგონა და ფრანგულ შეკრებაზე დავიწყეთ ამის დახვეწა. არადა, შეკრებაზე სამოყვარულო კლუბებს ვესაუბრინგეთ და ასეთი დონის საწვრთნელ მატჩებში ფაქტობრივად შეუძლებელია რაიმეს დახვეწა. ეს იყო დაცვითი ტაქტიკა და მთელი მსოფლიოს თასიც დაცვაში ვიდექით. ინგლისთან სორელმა გვითხრა, ბურთზე არ ითამაშოთო. უბურთოდ გავატარეთ მთელი მატჩი. ინგლისს ჩვენთან რამდენ ხანსაც ეჭირა ბურთი, იმდენი ხანი ახალზელანდიასთანაც რომ ჰქონდეს, მასაც გაუტანს 60 ქულას.

სამოასთან მატჩი ხომ მთლად ჩავაგდეთ, ურუგვაისთან აღარაფერს ვამბობ. ბოლო მატჩი უშანსოდ წავაგეთ, მომენტი არ გვქონია. შეიძლება, ტელევიზორში სხვანაირი ჩანდა, მაგრამ დამიჯერე, ის შეხვედრა თავიდანვე წაგებული იყო. ერთადერთი, რაც გავაკეთეთ, სამხრეთ აფრიკასთან მართლაც ღირსეული თამაში იყო.

— სამხრეთაფრიკელებს მეორედ ეთამაშეთ და ახლაც კარგად გამოგივიდათ. რატომ?

— იმიტომ, რომ ისინი კაცი კაცზე, ანუ კონტაქტურ რაგბის თამაშობენ. ამაში ჩვენც ვართ ძლიერები და თამაშიც გამოგვივიდა. ინგლისი და საფრანგეთი კი ერიდებიან კონტაქტს და კლასიკურ რაგბის თამაშობენ. სულ პასები და უპირატესობის შექმნა. ჯადოქრები არიან რა... გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკასთან ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენს თამაშს ვითამაშებდით, თავისუფლად, ლაღად და აგრესიულად.

— ჩვენს თამაშში რას გულისხმობ?

— იმას, რომ რაღაც-რაღაცეებში სორელს არ დავუჯერეთ.

— ესე იგი, მწვრთნელის დავალება არ შეასრულეთ.

— ნაწილობრივ... აბა, კაცი გვეუბნება ბურთზე არ ითამაშოთო. უბურთოდ რა ვაკეთო? გეკითხები, რამდენჯერ გავაჩერებდით ვეება და თან მობილურ აფრიკელ მორკინალებს, აღარაფერს ვამბობ მათ უკანახაზელებზე. აფრიკელთა შვიდი ნომერი პიტერ როსოუ 197 სანტიმეტრი და 130 კილოა. ოთარ ელოშვილმა თქვა, მაგას უპრობლემოდ შევაჩერებო. იმან კი ლელო ისე დადო, რომ 60 მეტრი ვდიეთ და ვერ დავეწიეთ. მათ რომ ბურთი კიდევ მეტხანს სჭეროდათ, წარმოდგენაც არ მინდა, რა დაგვემართებოდა.

— გასაგებია, მაგრამ მწვრთნელის დავალების შეუსრულებლობა დისციპლინის არქონაა.

— მაშინ ამაზე კი არა, ღირსეულ თამაშზე ვფიქრობდით, რაც გამოგვივიდა კიდეც. თანაც სორელი სასარგებლოს ვერაფერს გვეუბნებოდა.

— იქნებ თქვენ ვერ ასრულებდით მის მითითებებს და უსარგებლოდ გეჩვენებოდათ?

— რა თქმა უნდა, ჩვენც ვერ ვაკეთებდით ბევრს, მაგრამ მწვრთნელი იმიტომ ხარ, რომ ეს დაინახო და სხვანაირად იმოქმედო. რა ვქნათ, ვარკეთილის მოედანზე გავიზარდეთ, სადაც ერთი შებოჭვის მერე, ღმერთმა იცის, რას აიკიდებ. ძნელია, მოგვთხოვო და დაგვავალო, ზელანდიურად ან აფრიკულად ითამაშეთო. კონკრეტულ მომენტში ის უნდა გააკეთო, რაც იცი და რისი შესაძლებლობაც გაქვს. სამოასთან მატჩის წინ სამოელები გვეუბნებოდნენ, თქვენ როგორ უნდა მოგვიგოთ, „ვოფსში“ და „გლოსტერში“ ვთამაშობთ, თქვენ კი ხრიოკზე გაზრდილხართო. მართლები არ იყვნენ?

— ესეც რომ არა, გარედან ისე ჩანდა, თითქოს გუნდში ერთსულოვნება და ის სულისკვეთება არ იყო, როგორც, ვთქვათ, რუსეთთან მატჩის წინ.

— მართალია. გუნდი გადაღლილი იყო, არა ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურად. სამი თვე შეკრებაზე ვიყავით, ოჯახები გვენატრებოდა. კარგი იქნებოდა, ერთი კვირით სახლში გამოვეშვით, ამით ცოტას განვიტვირთებოდით და მსოფლიოს თასს, დაქანცულები არ შევხვდებოდით. გარდა ამისა, მაინცდამაინც მსოფლიოს თასზე იჩინა თავი მენტალიტეტის თემამ...

— რა თემამ?

— მოთამაშეთა უმეტესობა სორელს აღარ ენდობოდა. ფრანგული და ქართული ხასიათების დაჯახება მოხდა. რაზეც ახლა საუბარი არ მსურს.

— აქამდე რატომ არ იყო ეს ხასიათების დაჯახება?

— არ ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ აქამდე ასეთ პრობლემებს არ შევხვედრივართ. ესპანეთს და პორტუგალიას მაგრად ეუგებდით, წელიწადში ერთ მატჩს წავაგებდით რუმინეთთან და კმაყოფილები ვიყავით. მსოფლიოს თასზე კი სარკეში ჩავიხედეთ და მივხვდით, რომ არც ისეთი მაგრები ვყოფილვართ და კონფლიქტებიც დაიწყო. ერთმანეთის გადაბრალებით კი საქმე რომ ვერ კეთდება, ეს მსოფლიოს თასმაც დაგვანახა.

— ამიტომაც თამაშობდით უგულოდ?

— ვერ ვიტყვი, რომ უგულოდ ან უჯიგროდ ვთამაშობდით. უბრალოდ, მეტი არ ვიცოდით და რა გვექნა? ისე კი მსოფლიოს თასზე „ჟილკით“ მოგებული თამაში არ მინახვს. დღეს კლასის და „ჟილკის“ შერწყმით იგებ თამაშებს, ჩვენ კი კლასი არ აღმოგვაჩნდა. ეს რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკით მოდის, რის შესაძლებლობაც ჩვენ არ გვაქვს. ძლიერ მეტოქესთან ტესტებს რომ ვერ ვთამაშობთ, ეს არც სორელის ბრალია და არც რაგბის კავშირის, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ერთი წლით ადრე აქვს შედგენილი კალენდარი და აქ ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ადგილი არ არის.

— ახლა უკვე როგორ გესახება სორელის და ნაკრების სამომავლო ურთიერთობა?

— სორელი უნდა წავიდეს. რა თქმა უნდა, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახლა სხვისი ჯერია. სორელმა ბაღიდან სკოლაში გადაგვიყვანა, მან ქართულ რაგბის გზა უჩვენა და მსოფლიოს გააცნო, მაგრამ ამ ეტაპზე სორელზე გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელი გვჭირდება. ვუთხრათ სორელს დიდი მადლობა და გზა დაუულოცოთ. მგონი, ახლა სწორედ ის დროა, რომ ერთმანეთს მშვიდობით და კეთილად დავშორდეთ.

ბაჩო სვანიძე

მეოთხედფინალი

8 ნოემბერი

ახ. ზელანდია — ს. აფრიკა

ავსტრალია — შოტლანდია

9 ნოემბერი

საფრანგეთი — ირლანდია

ინგლისი — უელსი



ჯეისონ რობინსონის ინგლისი ნებისმიერი მეტოქისთვის 15-თავიანი დევია

დღეს და ხვალ მსოფლიოს რვა საუკეთესი გუნდი გააგრძელებს თასისთვის ბრძოლას. ამათგან ოთხი რჩეული წინ წაიწევს, წაგებული ოთხეული კი იმ 12 უიღბლოს შეუერთდება სამშობლოში გასამგზავრებელი ანტრიბუნებზე მოსაკალათებელი ბილეთები რომ შეიძინეს

სახეს ნუ მალავ!

დღეს რეპრეზიეები იწყება

ერთი სიტყვით, დღეს ტურნირის მეოთხედფინალები იწყება, რომლებშიც დანდობა ან თავის შენახვა ძალიან ძვირი ღირს.

ახალი ზელანდია თავის ისტორიულ და უხერხულ მეტოქეს სამხრეთ აფრიკას დაუპირისპირდება. „ოლ ბლექსისთვის“ ეს არის მეხუთე მსოფლიოს თასი და მეხუთე პლეი ოფი. აქამდე ისინი ორჯერ ფინალში (1987 და 1995 წლებში) და ორჯერ ნახევარფინალში (1991 და 1999 წლებში) ყოფილან და დიდი შანსი აქვთ მეხუთედაც გავიდნენ ნახევარფინალში.

„ეს ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩია. სამხრეთაფრიკაელები აქამდე მალავდნენ ნამდვილ სახეს და ახლა აუცილებლად გამოაჩენენ აგრესიას და ოსტატობას. ნაღდი ომი გველის. დანარჩენ კითხვებზე პასუხს მატჩის შედეგი გაგვცემს. ეს იქნება ყველაზე ნერვებმომშლელი და საპასუხისმგებლო მატჩი“ — ამბობს ახალზელანდიელთა კაპიტანი რუბენ სორნი.

სახრეთაფრიკელ „ქურციკებს“ არ ეყოლებათ ძირითადი მღლეტელი ფან რაუტენბახი და ჰუკერი ჯონ სმიტი.

თუ ახალი ზელანდია დღეს ნახევარფინალში გავიდა, რაც სავსებით სავარაუდოა, ნახევარფინალში მისი მეტოქე ავსტრალია — შოტლანდიას შორის მჯობნი იქნება. ცხადია. ამ წყვილში მომავალი გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. „შავების“ მომავალი მეტოქე სწორედ ავსტრალიელები იქნებიან, რომლებიციც ჯონ ლესლის გარეშე დარჩენილ სქოტებს რაგბის გაკვეთილს ჩაუტარებენ. ეს ორივე მატჩი დღეს გაიმართება

კვირას კი მეორე ნახევარფინალური წყვილის ერთ მონაწილეს საფრანგეთი და ირლანდია გაარკვევენ. ბორჯღალოსნები ამბობენ, წლეულს ხელდახელ თამაშის ჯადოქრებად ქცეული ფრანგები მოუგებენ ხოტორა ჰუკერის კიტ ვუდის წინამძღოლობით ბოლომდე მეომარ ირლანდიელებსო, მაგრამ ღმერთმა უწყის, ოვალური ბურთი სად ახტება და სად დახტება. კარგად გვახსოვს ჯგუფში ირლანდიის ჯახი ავსტრალიასთან, რომელშიც თასის მასპინძლებმა ბედის დახმარებით თუ მოუგეს „სამყურებს“.

მეოთხედფინალებში საფრანგეთი — ირლანდია ყველაზე გამოუცნობი წყვილია. მაგრამ მცირედი უპირატესობა, ალბათ, მაინც ფრანგებისკენაა, რაკი ისინი უფრო მობილიზირებული და სამსოფლიოსასოდ დაგეშილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. და ერთიც, საამმატჩოდ ფრანგთა 22-კაციან განაცხადში ადგილი ვერ გამოინახა დიმიტრი იაშვილისთვის, ვინაც ჯგუფურ ეტაპის ბოლო მატჩში აშშ-სთან მსოფლიო აუდიტორია სიმპათიით განაწყო.

მეოთხე წყვილში, ინგლისი — უელსს შორის გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი არაა — ინგლისი უპრობლემოდ გაივლის კოლინ შარვიზის ამქარს. საკითხავი ისაა, შეძლებს თუ არა ინგლისი ბუკმეკერების მიერ დადგენილ 33-ქულიანი ჰანდიკაპის გადალახვას.

ბაჩო სვანიძე

NBA რეგულარული ჩემპიონატი

REUTERS სან ანტონიოდან

მანუ ჯინობილმ კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ მისმა „სან ანტონიომ“ მაინც წააგო „ლეიკერსთან“

აბა, კბილები დაკრიჭე!

დინოზავრები მადაზე მოსულან

6 ნოემბერი

სან ანტონიო 117:120 ლეიკერსი

ძირითადი დრო 101:101

სან ანტონიო: ჯინობილი (33 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

ლეიკერსი: ბრაიანტი (37), ონილი (35)

ტორონტო 77:71 დალასი

ტორონტო: კარტერი (19)

დალასი: ნოვიცკი (27)

ნიუ ჯერსი 81:87 ინდიანა

ნიუ ჯერსი: კიტლზი (23)

ინდიანა: არტესტი (21), ჯონსონი (17)

გუშინწინდელ მატჩებში გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ტეხასში გამართული ჯახი — მოქმედი ჩემპიონი „სან ანტონიო“ ტიტულის მანამდელ მფლობელ „ლეიკერსს“ მასპინძლობდა.

„ტიტანია ბრძოლა“ სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და საკალათბურთო გურმანთა მადა ბოლომდე დააკმაყოფილა. გამარჯვებულის გამოვლენას ორი დამატებითი ხუთწუთიანი დასჭირდა.

ნეიტრალურ გულშემატკივართა უმეტესობა ალბათ სწორედ ამ შედეგს ვარაუდობდა, რაკი სანანტონიოელებს ორი ტრავმირებული ლიდერი ტიმ დანკანი და მკვირცხლი გამოთამაშებელი ტონი პარკერი აკლდათ, ისედაც ბობოქარ კალიფორნიელებს კი საამსეზონოდ ხუთეულში ოთხი სუპერმოთამაშე შეუყრიათ და იანკი კალმოსნები ერთხანს ხუმრობდნენ კიდეც — ამათ მეხუთე კაცად ჯეკ ნიკოლსონიც რომ ჩაუსვათ, ჩემპიონობას მაინც ვერავინ წაართმევსო.

მოკლედ, „ლეიკერსმა“ იმარჯვა, მაგრამ რომ წაეგო, იქნებ უფრო სამართლიანი ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ, საკალათბურთო ღმერთი იმდენ შეცდომებს არ ჰატიობს, რამდენიც კალიფორნიელებმა ამ მატჩში დაუშვეს. ლოსანჯელესთა ლიდერ კობი ბრაიანტს ჯერ კიდევ ძირითადი დროის ბოლო წამებზე შეეძლო თავისიანთათვის გამარჯვების დაბეება, მაგრამ... მეორე ოვერტაიმის ბოლო 35 წამში კი კობიმ სამჯერ ისროლა და სამჯერვე არაზუსტად. კალიფორნიელთა ბედად, ფარიდან ასხლეტილი ბურთები ისევ მათ რჩებოდათ და შაკილ ონილმაც ბოლო წამებზე მითვლილი საჯარიმო ქულებით თითიდან გამოწოვილი გამარჯვება მოუტანა ლეიკერსელებს.

მაღლი იქნებოდა, სანანტონიელთა ახალწვეულ რობერტ ჰორის სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი არ აეცილებინა და ლოსანჯელესელები, რომლებმაც იგი სეზონის წინ უბოდიშოდ დაითხოვეს, სამაგალითოდ დაესაჯა, აქაოდა, ტყუილად დამიწუნეთო.

არადა, ყველაფერი თითქოს წინასწარ დაწერილი სცენარით მიდიოდა, რომლის მიხედვითაც სხვა კლუბში შეკედლებული მოთამაშე თავის დამწუნებელ გუნდზე იძიებს ხოლმე შურს. ჰორიმ 112:117-ზე სამქულიანი მიითვალა, რასაც უმალ ორიანი მიაყოლა და ანგარიში გაათანაბრა. აი, ბოლო სროლაც რომ ჩაეგდო...

ქულების ხვეჭა არ უჭირს „დალას მავერიკსს“, მაგრამ ტორონტოში მიზანი წაუხდა. „დალასმა“ „ტორონტოს“ კალათს გასალები ვერაფრით მოარგო და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უმცირესი — 71 ქულა მოაგროვა.

„ვინმეს რომ ეთქვა, მეტოქე 77 ქულას ჩაგიგდებთ, და ასე დაგამარცხებთო, გიყად ჩავთვლიდი — უხასათოდ იყო მატჩის შემდეგ დალასელთა ყოჩი დირკ ნოვიცკი — 71 ქულა საშინელი შედეგია ჩვენი თავდასხმისთვის. ეს ნიშნავს, რომ არაფერი გაგვიკეთებია შეტევაში.“

კანადური გუნდი ფერზე მოსულა, საბოლოოდ გამოჯანმრთელებულმა ვინს კარტერმა სისხლის გემო გაახსენა „დინოზავრებს“ და ისინიც სიამოვნებით ახრამუნებენ მსუყე-მსუყე გუნდებს.

ირაკლი პერტაია

ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური *5-6 ნოემბერი*

ადგილების შეცვლით ჯამი იზრდება

წლიდან წლამდე ევროლიგა თანდათან იცლება ბებერ კონტინენტზე დაფრთიანებული ყოჩაღი ბიჭებისგან, მაგრამ ეს ტურნირი სიმძაფრეს მაინც არ კარგავს. თუნდაც ამ ზაფხულს ევროპიდან არნახულად ბევრმა ახალგაზრდამ გადაინაცვლა ნბა-ში, მაგრამ ამით ევროლიგას დიდად არ უზარალია, მატჩები ისევ უშეღავათო და გულიან ბრძოლებში მიმდინარეობს.

ოკეანგაღმა წასულთა შორისაა ზაზა ფაჩულიაც, რომელიც სტამბოლურ „ულქერში“ თამაშობდა და ავად თუ კარგად, ამ კლლუბს ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებში ეხმარებოდა. ფაჩულიამ ევროლიგაში ორი ქართველი დატოვა — ვლადიმერ ბოისა კვლავაც სლოვენიურ „ოლიმპიას“ ერთგულობს, მანუჩარ მარკოიშვილმა კი იტალიურ გრანდ „ბენეტონში“ საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი. ევროლიგურ განაცხადებში კიდევ ორი ქართველია შეყვანილი. მოსკოვის ცსკა-ს გიორგი ცინცაძე სამომავლოდ შეუგულებია, ფრანგულ „პო ორტეზში“ მოთამაშე გიორგი მდივანი კი ლიგაში ეგებ სულ მალე ვიხილოთ.

პირველ ტურში ორივე ქართველმა ითამაშა, მაგრამ ბოისა და მარკოიშვილი ყოჩაღი გარჯით ვერ დაიკვეხნიან. ბენეტონელმა მხოლოდ 6 წუთი ითამაშა ტურნირის დებიუტანტ „პამესას“ წინააღმდეგ და ორი საჯარიმო ჩააგდო, მისმა თავმომწონე გუნდმა კი საშინელი სირცხვილი ჭამა, 25 ქულით დამარცხდა.

„ოლიმპიამ“ კი მოიგო, მაგრამ თავად ბოისა ჩაფლავდა. ვოვა ადრიატიკის ლიგის თითქმის ყოველ მატჩში საუკეთესოა და სერბულ „პარტიზანთან“ მისი პასიურობაც ამიტომაა გასაკვირი. ბოისამ თამაში სასტარტოში დაიწყო და 21 წუთი ისე გაატარა მოედანზე, ქულა ვერ მიითვალა. სლოვენიელთა საბედნიეროდ, მარიო ბაზდარიჩმა და რობერტას შტელმახერსმა ივარგეს და ევროლიგას რეგულარული ჩემპიონატი „ოლიმპიამ“ გამარჯვებით დაიწყო.

სხვაფრივ გამოსარჩევია დიადი ლიტველის, ბოლოს „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში“ მობურთალი არვიდას საბინისის ბებერ კონტინენტზე მობრუნება. საბონისი მშობლიურ და ახლა უკვე მის საკუთრებაში გადასულ „ჟალგირისში“ „მოეწყო“ და ევროლიგის პირველივე მატჩში იოლად დაამარცხებინა შარშანწინდელი ჩემპიონი, საბერძნეთის სიამაყე „პანათინაიკოსი“.

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი

ოლიმპია 69:67 პარტიზანი

ოლიმპია: ბაზდარიჩი (22), ბოისა (21 წუთი, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)

პარტიზანი: ოსტოიჩი (25), ჰაუსი (11)

ულძერი 75:69 აეკ

ულძერი: ბლერი (20)

აეკ: ჯენკინსი (23)

რომა 59:61 ბარსელონა

რომა: მაიერსი (16), ბენერმანი (15)

ბარსელონა: ბოდიროგა (16), ნავარო (14)

ციბონა 72:71 პო ორტეზი

ციბონა: პენი (13)

პო ორტეზი: ერდმანი (15)

B ჯგუფი

ჟალგირისი 80:71 პანათინაიკოსი

ჟალგირისი: ბერიჩი (18), სალენგა (18)

პანათინაიკოსი: ბლაკოვიჩი (20), ბატისტე (20)

სკიპერი 97:86 კრკა

სკიპერი: მოტოლა (17)

კრკა: დუშაკი (26)

ცსკა 84:71 სიენა

ცსკა: მონია (17)

სიენა: ანდერსენი (17)

მაკაბი 88:73 უნიკახა

მაკაბი: ვუიჩიჩი (32), იასიკევიჩუსი (14)

უნიკახა: ფილიპი (16), კორნგაი (15)

C ჯგუფი

ვილერბანი 91:89 ალბა

ვილერბანი: როჯერსი (26), ჰუდი (15)

ალბა: პეტროვიჩი (18), სტანოევიჩი (18)

პამესა 89:64 ბენეტონი

პამესა: რიგოდო (17)

ბენეტონი: ევანსი (18)

ტაუ 83:87 ეფესი

ტაუ: მასიაუსკასი (22), დავიდი (19)

ეფესი: ლანგდონი (25), პრკაჩინი (16)

შლიონსკი 82:80 ოლიმპიაკოსი

შლიონსკი: გრირი (27), ტომჩიკი (27)

ოლიმპიაკოსი: დიამანტოპულოსი (22)

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

ედმონტონელი მარკ ანდრე ბერჟეროონი „ოტავას“ მეკარე მარტინ პრუსეკს უბეში ჩაუვარდა

6 ნოემბერი

კოლორადო 2:1 ფინიძსი

0:0 0:1 2:0

0:1 გრეტონი (32), 1:1 საკიკი (43), 2:1 ჰეიდუკი (52)

კაროლინა 6:3 რეინჯერსი

2:2 1:0 3:1

0:1 კოვალიოვი (10), 1:1 ვასიჩეკი (12), 2:1 სტაალი (16), 2:2 რუჩინსკი (19), 3:2 ადამსი (36), 4:2 ბაიდა (44), 4:3 ჰლავაჩი (48), 5:3 ადამსი (49), 6:3 კოული (60)

სენტ ლუისი 3:2 ვანკუვერი

2:1 1:1 0:0

0:1 კინგი (14), 1:1 დემიტრა (15), 2:1 მარტინსი (18), 3:1 ტკაჩუკი (31), 3:2 ბერტრუცი (35)

ოტავა 3:3 ედმონტონი

1:1 2:2 0:0 0:0

0:1 ისბისტერი (4), 1:1 ჰოსა (17), 2:1 ჰოსა (31), 3:1 შეფერი (33), 3:2 მორო (36), 3:3 პიზანი (39)

აილენდერსი 4:1 დალასი

0:0 1:0 3:1

1:0 პერიში (22), 1:1 მოროუ (47), 2:1 ჰანტერი (57), 3:1 ბეიტსი (59), 4:1 ჰეკა (60)

ფილადელფია 4:2 ვაშინგტონი

1:0 2:0 1:2

1:0 ამონტე (11), 2:0 უილიამსი (23), 3:0 კ. პრიმო (27), 3:1 კვიატკოვსკი (53), 4:1 რენიკი (54), 4:2 საზერბი (54)

ტამპა 0:1 ლოს ანჯელესი

0:0 0:0 0:0 0:1

0:1 პალფი (65)

ბოსტონი 5:5 სან ხოსე

1:2 3:2 1:1 0:0

0:1 დიმიტრიაკოსი (3), 0:2 ტორნტონი (10), 1:2 მორანი (12), 2:2 კნუბლი (33), 2:3 უ. პრიმო (35), 3:3 მიურეი (36), 4:3 ბერჟეროონი (38), 4:4 ტორნტონი (38), 4:5 ჩიჩუ (51), 5:5 სამსონოვი (60)

ჩომაგოლი ევროკაცია



რუსულპასპორტიანი ქართველი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე ბუდაპეშტში გამართულ გალა-შეკრებაზე 2002-03 წლების სეზონის ევროპის საუკეთესო წყალბურთელად დაასახელეს. იქვე, ბუდაპეშტში რეზოს კლუბი ზაგრების „მლადოსტი" ყველა დროის უძლიერეს საწყალბურთო გუნდად აღიარეს.

ქართველმა გოგონებმა შვედეთში ვერ გაისროლეს

უშედეგოდ დაიწყეს ევროპის ჩემპიონატი ქართველმა ტყვიისმსროლელებმა. შვედური ტურნირი მომავალი ოლიმპიადისთვის ლიცენზიის მოპოვების ბოლო შანსს იძლეოდა. წინასწარი ვარაუდით საამისოდ ოცდათეულში მოხვედრაც კმაროდა, თუმცა ნინო უჩაძე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაგროვილი 371 ქულით ორმოცეულშიც ვერ მოხვდა.

384 ქულით ფინალში სროლის უფლება მოიპოვა ნინო სალუქვაძემ. იგი იქ მეექვსე შედეგით შევიდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მერვეზე დარჩა.

საქართველოს ნაკრები შვედეთში გუნდურ პირველობაზეც გამოდიოდა. ორი ნინოს შედეგს ახალგაზრდა ელისო სულაკაურმა თავის წილ 354 ქულა მიუმატა, რაც მხოლოდ მე-17 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

ხვალ მერალეთა 25-ე მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდება. სეზონს ტრადიციულად ბრიტანულ ეტაპზე, კონკრეტულად კი უელსის მთავარქალაქ კარდიფის შემოგარენში 1500-კილომეტრიან, ქვაღორღიან გზებზე ჯირითი დაუსვამს წერტილს

ერთ მეფეს გულმა შეუტია, მეორეს ჰოლივუდმა

დასკვნითი რბოლის წინ მეტად დაძაბული სატურნირო ვითარებაა — საჩემპიონო შანსს სამი ეკიპაჟი ინარჩუნებს და ტრიუმფატორის ვინაობაც 18 ჩქაროსნულ-ჩასათვლელი უბნის დაძლევის შემდეგ გაირკვევა. სხვათა შორის, ამგვარი მდგომარეობა იყო შარშანწინაც — დაწინაურებული სამეული ერთმანეთს თითო-ქულიანი სხვაობით მისდევდა და ბოლო ეტაპს შეეძლო ყველაფერი აერ-დაერია. ასეც მოხდა — ლიდერები კოლინ მაკრეი და ტომი მაკინენი სულაც უქულოდ დარჩნენ და მასპინძელ რიჩარდ ბარნსს სამესამეადგილო ოთხი ქულაც ეყო ტიტულის მოსაპოვებლად.

„თავის ტერიტორიაზე" სამგზის გამარჯვებული (1998-2000) „მეფე რიჩარდი" ამჯერად საერთოდ ვერ შეძლებს გაჯირითებას — კეირას კარდიფში მშვიდად მიმავალს საკუთარი მანქანის საჭესთან გული შეუღონდა და საქიმო შეიქნა. საგზაო ტრაგედიას კი, საბედნიეროდ, იმიტომ გადაურჩა, რომ მის გვერდით მყოფმა მეგობარმა და მეტოქემ ესტონელმა მარკო მარტინმა მოახერხა მანქანის გაჩერება. ყოველმხრივ შემოწმებული ბარნსი კლინიკიდან მეორე დღესვე გამოწერეს, მაგრამ დაუდგენელი მიზეზით გულწასვლის გამო ექიმებმა რბოლაში მონაწილეობა აუკრძალეს. „პეჟოს" ხელმძღვანელობამ საერთაშორისო ავტოფედერაციას თხოვნით მიმართა და ეკიპაჟის შეცვლის ნებართვაც მიიღო — ბარნსის ნაცვლად ბელგიელი ფრედი ლოა ირბოლებს.

არადა, რიჩარდი ყველაზე წინ მდგომებს, სიტროენელ სებასტიენ ლოებს და კარლოს საინსს ხუთი ქულით ჩამორჩებოდა და საპირველადგილო შანსსაც ინარჩუნებდა, ეტაპის მოგება ხომ ათ ქულად ფასდება. თუმც ახლა რიჩარდის გამეფება ნაკლებ სავარაუდოა, რადგან სამ ლიდერს ერთმანეთისგან მხოლოდ კინკილა ქულა აშორებს.

ერთი სიტყვით, ფრანგ ლოებს და ესპანელ საინსს 63-63 ქულა აქვთ, ნორვეგიელ პეტერ სოლბერგს („სუბარუ") ერთით ნაკლები და გვირგვინოსანიც სწორედ მათ დავაში გამოვლინდება. სამთაგან ყველაზე ტიტულოვანია ორგზის (1990, 1992) ჩემპიონი, 41 წლის „მეფე კარლოსი", რომელიც მიმდინარე სეზონში ზედიზედ ცხრა ეტაპზე ქულების მოპოვებით „მისტერ სტაბილურობთადაც" მონათლეს.

მადრიდელი „მატადორი" რა ხანია, ასე ახლოს აღარ მიმდგარა ტრიუმფთან, თუმც პირველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს, თუ 12 წლით უმცროს „სებს" კარდიფში ერთი ქულით მაინც აჯობებს, რადგან ქულათა თანაბრობის შემთხვევაში ტიტული ლოებს დარჩება მეტი რბოლის მოგების გამო.

„დისკო-ჰოლიდუდ" პეტერსაც, რომელიც ათ დღეში 29 წლის გახდება, პირველი ტიტულის მოპოვების შანსი სწორედ ხვალ ეძლევა.

გია ახალაძე



გუშინ სამივეს — კარლოს საინსს, პეტერ სოლბერგს და სებასტიენ ლოებს თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდათ

ვირუსიც ანტირუსია

BANK OF AMERICA TOUR CHAMPIONSHIPS

ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი

საპრიზო 3 მილიონი $

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ (ბელგია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:4; ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 6:2

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ (ბელგია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 7:5, 5:7, 7:5

ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი კიმ კლაისტერსი გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც ნახევარფინალში გასვლა მოახერხა. გუშინ მან 84 წუთში ავჯობა ჩანდა რუბინს, ვისთვისაც მათი აქამომდელი ექვსი შეხლიდან ექვსივე მოეგო. ჩია ჩანდა, მისი მცირე გაბარიტების მიუხედავად, მოაწოდე-მიეძალე ყაიდით თამაშს არჩევს, მაგრამ კიმთან ასე ბურთაობა მას გუშინ მხოლოდ პირველ სეტში გამოუვიდა. მართალია, ამქრის ამჟამინდელ პირველოსანს რამე არც ამით ევნო, მაგრამ მეორეში მან მაინც იზრუნა იმაზე, რათა ჩანდა ბადეს უფრო იშვიათად მიჰკარებოდა.

შედეგად — ზედიზედ მეორე დამაჯერებელი გამარჯვება და რიგიანი სანახევარფინალო განწყობა, რასაც კიმს ალბათ ვერც ამელი მორესმოსთან უკანასკნელი ჯგუფური მატჩი წაუმურდლავს. ეგ მით უფრო სავარაუდოა, რომ კიმსა და მორესმოს აქამდე შვიდჯერ უპაექრიათ და შვიდიდან ხუთჯერ ნახევრები სწორედ ბელგიელი დარჩენილა.

არადა, ნახევარფინალში მოსახვედრად მორესმოს აუცილებლად სჭირდება ამ მატჩის მოგება. მას და პირველ ტურში მის მძლეველ ჩანდა რუბინს ბოლო შეხვედრებამდე თითო-თითო წაგება-მოგება მოეძევებათ და მათ შორის უმჯობესიც სწორედ უკანასკნელ ჯგუფურ დღეს უნდა გაირკვეს...

მორესმომ ელენა დემენტიევას 69 წუთში გადაურბინა. ქერა რუსგოგომ თითქმის ასევე იოლად დათმო პირველ დღეს კიმ კლაისტერსთან და ახლა ნახევარფინალში გასასვლელად ფიორა შანსიც აღარა აქვს.

დემენტიევაზე უკეთ გამოიყურება ანასტასია მისკინა, ვინაც გუშინ უმძაფრესი ბრძოლა გაუმართა გრიპით შეპყრობილ ჟუსტინ ენინარდენს. ჟუსტინს მთელი ყელყურცხვირი ანთებულ-დავირუსიანებული ჰქონია და ამის გამო იყო, პირველ გეიმებში ჩოგნის განძრევა რომ ვერ შეძლო. ხოლო როცა მისკინა 5:0 დაწინაურდა, ჭინკა ბელგიელმა დასტაქრებს მოუხმო. დასტაქრებმა მას თავის ტკივილის წამალი დაალევინეს, სუნთქვის გამხსნელები შეუშხაპუნეს და კორტზე დაბრუნებულმაც მიჯრით შვიდი გეიმი მიითვალა — 7:5.

მეორე სეტი კვლავ მისკინას უპირატესობით დაიწყო და, თუმცა ჟუსტინი შიგადაშიგ ისევ იჩხვლიტებოდა, სეტის მოგება რუსგოგომ ამჯერად მაინც შეძლო.

მძაფრი და შეუპოვარი იყო შეხლა გადამწყვეტ ხელშიც და, როცა ყველას ეგონა, რომ საქმეს ტაიბრეიკი გაარკვევდა, უეცრად გახელებულმა ჟუსტინმა 5:5-ზე მეტოქეს გეიმი წაჰგვარა — საბედისწერო მომენტში მისკინა უძლური გამოდგა მისი უბასრესი ხელუკულმების წინააღმდეგ. ბოლო გეიმის მოგება კი ბელგიელს უკვე აღარ გასჭირვებია.

ამგვარად — შავ ჯგუფში თითო-თითო გამარჯვებით დაწინაურდნენ ენენ-არდენი და ჯენიფერ კაპრიატი. ისინი ერთმანეთს მეორე ტურში დაეტაკებიან და ეს აშშ-ის წლევანდელი ღია პირველობის ნახევარფინალური ომის რემატჩი იქნება. თუ გახსოვთ — იმ საარაკო მატჩში ჟუსტინმა იმარჯვა. საინტერესოა, რა მოხდება ახლა.

კიმ კლაისტერსი

ადე, ანდრე, ბიჭები მოდიან

კაცთა წლევანდელი სეზონის მომთავრებას მხოლოდ ჰიუსტონური მასტერსთასი და დევისფინალიღა გვიკლია. დევისობის გადამწყვეტი შეხლა თვის ბოლოს შედგება და მასში ავსტრალიელები ესპანელებს უმასპინძლებენ, მასტერსთასი კი ორშაბათს უნდა დაიწყოს და კვირის ბოლოს მომთავრდეს.

ჰიუსტონში წლეულს ყველაზე მეტად გამორჩეული რვა კაცმეჩოგნეა შეკრებილი. ისინი ერთმანეთს საპრიზოდ დაოქმულ 3,7 მილიონ დოლარს გაედავებიან, ხოლო ორი, ან უკიდურეს შემთხვევაში სამი მათგანი, ამქრის პირველოსნობისთვისაც იბრძოლებს.



ენდი როდიკი

წლის უპირველეს მეჩოგნედ გასრულების უდიდესი შანსები ამ მომენტისთვის ენდი როდიკს, ხუან კარლოს ფერეროს და, გაწიგამოწი, როჯერ ფედერერსა აქვთ. ესენი ორსავე რეიტინგსიას მოთავეობენ. რბოლაში როდიკი 867 ქულას მოიძევს, ფერერო — 841-ს, ფედერერი — 725-ს. 12-თვიან მგორავ ცხრილში კი მათი ქულადი მონაგარი ამგვარია — როდიკი (4335), ფერერო (4205), ფედერერი (3625).

შეგახსენებთ, რომ თითო ჯგუფური მოგებისთვის მეჩოგნე 20 ქულას მიიღებს, ნახევარფინალში გამარჯვება 40 ქულა დაჯდება, ხოლო ტიტულის მომხვეჭი კიდევ 50 ქულას მოიმკის.

ვარაუდობენ, რომ მშობლიურ ნიადაგზე ყველაზე მეტი ქულის დაგროვებას ენდი როდიკი მოახერხებს. როდიკმა სეზონი რეიტინგსიის მე-10 საფეხურზე დაიწყო და ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ათი თვის თავზე ის ჩოგანს ამქრის უსტაბაშობასაც გამოჰკრავდა.

მისი ნიჭისა და ფსიქოლაჯისადმი სკეპტიკურად განწყობილ მილეთს ენდიბომ წლეულს ჯამში ექვსი ტიტულით მიუგო პასუხი. ამ ექვსიდან ორი მასტესტურნირებზე, ხოლო ერთიც — უმთავრესი — აშშ-ის ღია პირველობაზეა ნაშოვნი, რამაც მის პრეტენზიებს, სამპრას-აგასიანთა დიადი ამერიკული თაობის მემკვიდრედ წარმოჩენილიყო, ზორბა ლეგიტიმურობა შესძინა.

ჯგუფში როდიკს არგენტინელი გილერმო კორია, გერმანელი რაინერ შუტლერი და ესპანელი კარლოს მოია ეყოლება. ფერერო და ფედერერი კი ერთმანეთს მეორე ჯგუფში დაერევიან, სადაც მათთან ერთად ბებერი ანდრე აგასი და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანიც იჩოგნავებენ.

ფერერო არ მალავს, რომ წლევანდელი დაძაბული და ჩოგბურთსავსე სეზონის შემდეგ ის თავს ძალიან გადაღლილად გრძნობს. მაგრამ მას ეიმედება, რომ პირველოსნობისთვის ბრძოლის აუცილებლობა მას დამატებით ენერგიას შესძენს. ეგებ გახსოვდეთ, ესპანელმა კოღობიჭმა წინა ორ, სიდნეურ და შანხაურ მასტერსთასებზეც კაცურად იბურთავა და შანხაში სულაც ფინალში ლეიტონ ჰიუიტთან დამარცხდა.

ჰიუიტისთვის, მოგეხსენებათ, ეს სეზონი ბედასლი გამოდგა და, მართალია, მას შემოდგომაზე კიდევ შეეძლო, მასტერსთასზე მოსახვედრად საჭირო ქულები მოექუჩებინა, მან ამის გაკეთებას მაინც დევისთასისთვის მზადება არჩია.

სხვაფრივ: საგულისხმო ფაქტია, რომ ჰიუსტონში ჩასული რვა მეჩოგნიდან ხუთი — როდიკი (21), ფერერო (23), ფედერერი (22), კორია (21) და ნალბანდიანი (21) — ან 23 წლისაა ან ამაზე ნაკლებისა. შუტლერი და მოია 27-27 წლისანი არიან, ანდრე აგასი კი სულაც 33 წლის ბერიკაცი გახლავთ. ასე რომ, ჩოგბურთში ახალთაობის საბოლოოდ გალიდერება უკვე დასტურ შეუცილებელი ფაქტია.

ლევან ძელაურიძე

REUTERS ბუენოსაიერესიდან

ოხხხ!

ტაილანდს სწვევია განთქმული რუსი სექსმეჩოგნე ანა კურნიკოვა. რისთვის სწვევია, ამას მაინცდამაინც გარკვევით არ იუწყებიან. თუმცა რისთვისაც ეწვეოდა, ვინძლო, ძნელი მისახვედრი სულაც არ იყოს.

სერენა ღამის შოუში

სერენა უილიამსი იმ დღეს სიბიესურ ღამის შოუში გაეძრო. თუკი შოუს წამყვანის, კრეგ კილბორნის გამოძეტყველებით ვიმსჯელებთ, მამა რიჩის უმცროსი გოგოცუნა უოუმორობას არ უნდა უჩიოდეს, ოღონდ მისი იუმორი მისივე ბარძაყებივით ხორციანია თუ არა, მაგაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ.

REUTERS ლოს ანჯელესიდან

ზიკო საქალებოში



REUTERS სენდაიდან

ბრაზილიის ქალფრენბურთელთა ნაკრები მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე კუბელებს ერკინებოდა. ამბავი ტოკიოს ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ სენდაიში იყო და მას იაპონელთა საფეხბურთო ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი ზიკოც ესწრებოდა. ლეგენდარული ფეხბურთელი ფოტოზე მოღუშულია, მაგრამ ნამატჩევს ნაღდად მომღიმარი იქნებოდა, რაკილა მისიანებმა კასტროელებს 3:2 აჯობეს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კალაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაულიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge